საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 13 ივნისი, 2013 წელი.

№109 (7236)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვერი სიფცვაა, ფცუილებით და ჯოჯებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ნატო თუ რუსეთი?!

ნათქვამია, მელას ძვალი არც ეთმობოდა და არც ერგებოდაო, ისეა დასავლეთიც, არც ჩვენი ნატოში მიღება უნდა და არც ჩვენი რუსეთისკენ წასვლა. სურს, რომ სულ მოლოდინის რეჟიმში ვიყოთ.

4

ქართული პროდუქცია კვლავ ბრუნდება რუსეთში

„სასაზღვრო“ პრობლემებს ოსებსაც უქმნიან

8

ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის კანონი მიიღეს

ნლეულს საზღვარი კურორტებზე ფასები არ გაიზრდება

2

ინგლისურენოვანი წიგნები აფხაზეთის შესახებ

7

ახლო აღმოსავლეთი ირანის საპრეზიდენტო არჩევნების ჭრილში

5

ეს სიმღერები მაღალ მთებს ჰგვანან...

9

„შარვალი ჩამხადეს და მაგიდაზე გადამწვინეს“...

6

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გზად მომავლისკენ

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ძალიან კეთილი ადამიანია

ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ტელეარხ Russia Today-ში სტუმრობისას განაცხადა. „მე შევხვდი კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს. ის ძალიან კეთილი ადამიანი, რა თქმა უნდა, ნამდვილი ქართველია. წამებიც კი არ ყოფილა, რომ მას საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებზე არ ესაუბრა, თუმცა, იგი ამ ყველაფერს ბრძნულად და მშვიდად აკეთებს“, — აღნიშნა პუტინმა.

Russia Today-ში სტუმრობისას რუსეთის პრეზიდენტმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავების პერსპექტივებზე ისაუბრა.

— მიმაჩნია, რომ საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა დიდი შეცდომა დაუშვა და ვფიქრობ, არ უარყოფს ამას. მე მას ვუთხარი — მიხეილ ნიკალაევიჩ, დავუშვათ ყველაფერი, ოღონდ არავითარ შემთხვევაში არ მიიყვანოთ ეს სისხლისღვრამდე... თუმცა, სამწუხაროდ, ყველაფერი ომით დასრულდა. მომხდარზე საპასუხოდ კი რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ამ საკითხზე უკან დახევა ვერ წარმომიდგენია. საქართველოსთვის ეს ცნობილია, როგორც წითელი ხაზი, რომლის იქით გადასვლა მათაც არ შეუძლიათ, რამდენადაც საქართველო, როგორც თავად მიიჩნევს, ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძვის, — განაცხადა პუტინმა.

მისი შეფასებით, საქართველოს ხელისუფლებას არ ეყო მოთმინება და სახელმწიფოებრივი სიბრძნე, დაელაგებინა ურთიერთობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში. „სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა“, — აღნიშნა პუტინმა.

ამასთან, რუსეთის პრეზიდენტი ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებას არ გამორიცხავს.

მისი თქმით, თუ ორი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეცსამსახურების თანამშრომლობა შედგება, ეს იქნება უვიზო რეჟიმის აღდგენისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი.

მისივე თქმით, რუსეთი მზად არის, სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საქართველოს დახმარება მიიღოს.

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა ჰუმანიტარული კონტაქტები და მოხსნილია დაძაბულობა მოსკოვში საქართველოს წარმომადგენლობის ირგვლივ.

თუ ივანიშვილი პროცესებზე კონტროლს დაამყარებს, შესაძლოა, მოსკოვმა მასთან სერიოზული მოლაპარაკებები დაიწყოს

ამის შესახებ გაზეთ „ყველა სიახლესთან„ ინტერვიუში რუსმა პოლიტოლოგმა და სამხედრო ექსპერტმა პაველ ფელგენჰაუერმა განაცხადა.

მისივე თქმით, ეს მოვლენათა განვითარებაზეა დამოკიდებული, „იმაზე, თუ როგორ და რით დასრულდება გარდამავალი პერიოდი, ხელისუფლების გადაცემა სააკაშვილისგან ივანიშვილისთვის“.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე ვითარების გართულების ფონზე, რუსულ-ქართული ურთიერთობების შეფასებისას ექსპერტმა აღნიშნა, რომ „რუსულ-ქართული ურთიერთობა სტაბილურად ცივი, ნელთბილია“.

კითხვაზე, თუ ვინ მიიღო გადაწყვეტილება ე.წ. საზღვრის გადმოწევის შესახებ, პაველ ფელგენჰაუერის თქმით, ის არ არის დარწმუნებული, რომ ეს გადაწყვეტილება რუსეთის უმაღლესი თანამდებობის პირებმა მიიღეს.

— პუტინს და სხვებს, კრემლში, სხვაც ბევრი საზრუნავი აქვთ და საქართველოს არ უკავია ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი რუსეთის მაღალჩინოსნების დღის წესრიგში. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება უფრო დაბალ ეშელონებში მიიღეს. მაღალ დონეზე კი მხოლოდ დაამტკიცეს, დაადასტურეს, რადგან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების რუსული პოლიტიკა უცვლელია. ამ მხრივ, დათმობაზე წასვლას ახლა არავინ აპირებს. ასე რომ, ამ ტიპის ურთიერთობებში დიდი გარღვევა მოსალოდნელი არ არის, — განაცხადა ფელგენჰაუერმა.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ქვეყანას ორი ძალა მართავს, ორივეს თავის მასმედია ჰყავს და ორივეს ფეხებზე ჰკიდია მოსახლეობის მდგომარეობა, გნებავთ სოციალური და გნებავთ, სხვა დანარჩენი. ამ ქვეყანაში სამართალი მაშინ აღსდგება, როცა სრულიად არა ერთმანეთთან ანგარიშვალდებული ხალხი მოვა ხელისუფლებაში. ახალ ხელისუფლებაში არიან კარგი ადამიანები, მაგრამ იმდენად ცოტანი, რომ გინდა ყოფილან და გინდა არა.

● მგონი, ეს ვარიანტი ჯობს: საქართველოში კაცი იმედით ცოცხლობს და რესპუბლიკელი ოცნებით ცხოვრობს.

● ამდენი მათხოვარი უკვე ნამეტანია, დაზეპირებული ტექსტებით და დამხეცებული სახის მიმიკების შეცვლით, პროფესიულად ხვეწენ ამ „დარგს“ — მართლა საშინელებაა უკვე რაც ქუჩაში ხდება. მათხოვარი ყოველთვის მეცოდება, მაგრამ ესენი გამომძალველები არიან! ჩემს ქალაქში თუ როდესმე შემეზიზღებოდა ქუჩაში გამოსვლა, ვერ წარმოვიდგენდი :(

● ოცნებავ, დაგივარდა რეიტინგი!

ვანოს დაჭერით 17 მაისის გადაფარვამ ვერ გიშველა!

გადმოგვიგდე კიდევ ერთი ბარტყი, მაგალითად, — უგულავა, ცოტა ხნით ამოისუნთქავთ!

● ირაკლი ალასანია: „თავები დაგორდება ყველასი, ვინც ვერ იაზრებს, რა პასუხისმგებლობაა ჯარის კვება და მომსახურება“.

● საინტერესოა, ვინ აირჩევდა „ქართულ ოცნებას“, არჩევნების წინ რომ გამოეცხადებინათ — კოჰაბიტაციას გავატარებთ და ნაცებს გამოუძიებლად ვაპატიებთ დანაშაულსო?!

(მე პირადად, არჩევნებზე არ მივიდოდი!)

● ამან იმას სიტყვაში მოუგო, ამან ისე ჩაიცინა, რაღაც მოხდება, ამას იმდენი რამ აქვს გაკეთებული, მალე დაიჭერენ, აი მოსამართლეებს მოევლებათ და მერე...

ტელევიზორიდან კი ისევ „უნაკლოს“ გუნდი გვარიგებს ჭკუას?!

ეჰ, მარტო ჩაცინებით, რაღაცის ცოდნით და სურვილებით რომ შენდებოდეს ქვეყანა, კარგი იქნებოდა.

● მოკვდა სამართალი შიმშილით, ვერა და ვერ ჭამა პური.

● ბევრი ფული უარყოფითად მოქმედებს ადამიანებზე. ამიტომაა საქართველოში ამდენი კარგი ადამიანი.

● ვარემონტებ პარლამენტის სახურავს...რემონტის მერე წყალი მხოლოდ წვიმისას ჩამოვა.

● ლოგიკური სიბრძნე ჯონ დოსგან: „იყო პარლამენტში — არ ნიშნავს, რომ ხალხის რჩეული ხარ“.

● ხო! ხო! ხო ! რა დანამატებს იღებენ ჩვენს მიერ არჩეული პარლამენტარები?! თან ტრაბახობენ, პრემიებს არ ვიღებთო, არადა, რა მნიშვნელობა აქვს, რას დაუძახებ ხელფასის ზევით აღებულ ფულს, დანამატს თუ პრემიას? შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება — ასე არ არის? მაგრამ ვაი, რომ იცვლება, რადგან დანამატს უფრო მეტს ღებულობენ, ვიდრე პრემიას ღებულობდნენ :) ხალხის საშველი არც ყოფილა და არც იქნება :(

● დღეს რუსეთის დუმამ კანონით აკრძალა არატრადიციული სექსის პროპაგანდა არასრულწლოვანებს შორის!

კანონი ასევე დისკრიმინაციულია არატრადიციული ორიენტაციის წყვილების მიმართ!

უნდა ნახოთ, რა წიკვინი აქვთ გრანტიჭამიებს!

პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა ისინი!

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი სასტიკი წინააღმდეგი იყო ამ კანონის მიღებისა, დუმამ ის მაინც მიიღო!

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ სეზონი

წლეულს საზღვაო კურორტებზე ფასები არ გაიზრდება

საზღვაო სეზონამდე 1 თვეზე ნაკლები დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ტურიზმზე განსაკუთრებული აქცენტი არ კეთდება, ტურისტების სიმცირე სულაც არ იგრძნობა. ის კი არადა, ცენტრალურ თუ რეგიონულ უწყებებში, დამსვენებლთა მკვეთრ გააქტიურებაზე საუბრობენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი უკვე მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და სტაბილური ფასები სახელდება. ყველა დაუფარავად აცხადებს, რომ წელს საქართველოს შავი ზღვისპირეთში ფასები არ გაიზრდება.

ამ ეტაპზე საკურორტო მაზანდა აჭარაში შენარჩუნებულია. ქობულეთში ბინის ქირა ერთ ადამიანზე 15-20 ლარის ფარგლებშია. საოჯახო ტიპის სასტუმრო შედარებით ძვირია და ორადგილიანი ნომრის ღირებულება 50-60 ლარამდეა, თუმცა, ასე იყო შარშანაც. ოდნავ განსხვავებული ვითარებაა ბათუმში, აქ ბინაში ერთი კაცი 20-30 ლარს იხდის და ეს ტარიფი ერთი წლის წინანდელისგან არ განსხვავდება.

წლევანდელ სეზონზე აჭარაში გაცილებით მეტ დამსვენებელს ელიან. ამ ეტაპზეც მათი რიცხვი ორჯერაა გაზრდილი. ფასები რეგიონში ჯერჯერობით არ შეცვლილა. ბინის დაქირავება წლეულსაც იგივე ფასად შეიძლება, როგორც შარშან.

ბათუმთან შედარებით, ქობულეთში დასვენება, დაახლოებით, 10-15 ლარით ნაკლები ჯდება, ურეკში კი ოთახის დაჯავშნა კიდევ უფრო ნაკლებ თანხებთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება სასტუმროს, აქ ფასები არასტაბილურია. ზოგიერთი სტანდარტული ნომრის ღირებულება 50 ლარიდან იწყება და 250 ლარამდეც აღწევს. ქირის გადასახადის ოდენობა ადგილის, პერიოდისა და მომსახურების პირობების მიხედვით განისაზღვრება.

„ქობულეთში დასვენების ფასი შენარჩუნებულია. შარშან ჩვენ სასტუმროში ორადგილიანი ნომერი 50 ლარი ღირდა, წლეულსაც ასეა. თანხაში ერთჯერადი კვება შედის. ფასები ზოგადად სასტუმროს მდებარეობის, პირობებისა და სეზონის მიხედვით განისაზღვრება. ახლა ერთ ადამიანს დაქირავება თუ 25 ლარი უჯდება, ეს თანხა 15 ივლისიდან 25 აგვისტომდე შედარებით მატულობს.

წლევანდელი მაისი გამორჩეულია იმით, რომ ქობულეთს ბევრი უცხოელი ტურისტი ეწვია, განსაკუთრებით, რუსები აქტიურობენ. 1-დან 15 მაისამდე საკმაოდ ბევრი დამსვენებელი გვყავდა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა უცხოელი იყო. ამიტომ ხალხმა სეზონისთვის მზადება ადრეულად დაიწყო. მოსახლეობა კაფე-ბარებისა და რესტორნების გახსნაზე ზრუნავს, ნაწილი სახლებს ღებავს, ჩვენც აქტიურად ვემზადებით ზაფხულისთვის და სარემონტო სამუშაოებს ვახორციელებთ“, — ამბობს სასტუმრო „ქობულეთის“ დირექტორი ლადო ლეფსვერიძე.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ მათი ფუნქცია რეგიონის პოპულარიზაციაა. ამისათვის ქვეყნის საზღვრებს გარეთ სარეკლამო კამპანიებს ატარებენ.

„ეს არის თურქეთი, უკრაინა, ისრაელი, პოლონეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი. ჩამონათვალს ამჯერად ყაზახეთი და ბელორუსიც დაემატა, ანუ ახლა უკვე რვა სამიზნე ქვეყანა გვაქვს. ტურისტების მატებას ჩარტერული რეისების დანიშვნაც უწყობს ხელს. ასეთი აქტიური მაისი ჯერ არ ყოფილა. აჭარას უკვე უამრავი უცხოელი სტუმრობს. არიან თურქები, უკრაინელები, რუსები, პოლონელები და ისრაელის წარმომადგენლები. აქტიურობით თურქები გამოირჩევიან. კონკრეტულად რამდენითაა გაზრდილი მათი რიცხვი, უცნობია. მაისის სტატისტიკა ჯერ არ გვაქვს, თუმცა, შემიძლია აღვნიშნო, რომ წინა წელთან შედარებით, გაორმაგებულია“, — ამბობს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი სოფო გუჯაბიძე.

საზაფხულო სეზონის მაქსიმალურად მაღალ დონეზე ჩატარება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელობის მთავარი სავიზიტო ბარათი იქნება. რამდენიმე დღეა, რაც ამ პოსტზე გიორგი სიგუა დაინიშნა. იგი ბოლო 9 წლის განმავლობაში საქართველოში არ ცხოვრობდა, თუმცა, მიიჩნევს, რომ ეს ხელს არ შეუშლის წარმატებულ საქმიანობაში.

„საზაფხულო სეზონი, ფაქტობრივად, კარს მოგვადგა. გეგმები გვაქვს ძალიან ბევრი და უნდა მოხდეს მთავრობის მხრიდან იმის განსაზღვრა, თუ რა ადგილი უნდა ეკავოს ტურიზმს ქვეყნის ეკონომიკაში. დღეისათვის მშპ-ში ტურიზმის წილი 6,37%-ია. საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯები, რათა გაორმაგდეს ეს მონაცემები. საქართველოს აქვს დიდი პოტენციალი, რომ ის ტურისტული ადგილები, რომელიც გამოყენებული არ იყო, მაქსიმალურად გამოყენოს და აითვისოს. ყველაფერს ვეცდებით, რომ გავაქტიურდეთ გარე ბაზრებზეც“, — განაცხადა დანიშვნისთანავე გიორგი სიგუამ.

ეკა ბაძრაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ განსჯა

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები აუცილებლად ჩასატარებელია

ობიექტურობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთიც, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, გვაგზავნიდა ავღანეთში საომრად, რომ მოსკოვის (კრემლის) ნებართვის გარეშე ვერც ქარხანას ავაშენებდით და ვერც — სპორტის სასახლეს, და კიდევ უამრავ რამეში ვიყავით შეზღუდულები (ცენტრალიზებული დაგეგმარებიდან გამომდინარე, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც დიდი პროექტების განსახორციელებლად, ნებართვებთან ერთად,ფინანსებსაც, თანაც ძალიან დიდს, სწორედ რუსეთი გვაძლევდა, ფინანსებს და არა სესხებს(!), როგორც დღეს ვიღებთ „მეგობარი“ ქვეყნების ბანკებისგან!). ნამდვილად ასე იყო და, როგორც ვთქვი, ამას თავისი ახსნაც მოეძებნებოდა, მაგრამ რაც შეეხება მეობას და ღირსებას, ვერავინ იტყვის, რომ იგი დაკარგული გვქონდა იმ დროის ქართველებს. საკუთარ სამშობლოში კი არა, თავად იმპერიის დედაქალაქში ისე დავიჯგიმებოდით, თითქოს იური დოლგორუკს, ერთი ანეკდოტისა არ იყოს, მოსკოვი მართლა რესტორან „არაგვის“ გარშემო (ანუ ქართველების გარშემო!) გაეშენებინოს! თავად რუსი კი, მით უფრო სამხედრო მოსამსახურე, ხმის ამომღები არ იყო საქართველოში. ახლა კი, ახლანდელ „დამოუკიდებელ“ საქართველოში ისე გადაგვივლის (როცა მოესურვება!) ამერიკელი, რომელსაც იარაღის ტარების უფლება დაუკანონა ძველმა ხელისუფლებამ (და არც ახალი ფიქრობს მის გაუქმებას), რომ პასუხს ყველა შემთხვევაში ჩვენ მოგვთხოვენ, თუნდაც ცამდე მართლები ვიყოთ; ყოველ შემთხვევაში, ამერიკელს ვერავინ გასცემს უბატონოდ ხმას. **როცა შენს საკუთარ სახლში დაგაჩმორებს ჯერ შენი ხელისუფლება და მერე — უცხოელიც, როცა ამერიკული ყველაფერი უნდა მოიწონო (ნივთებზე არ მაქვს ლაპარაკი, ცხადია), როცა ამერიკელს მაშინ ახსენდება სამართალი, თუ მის პრეზიდენტებს შეეხება ვინმე და, როცა შენც სიმართლე ვერ გითქვამს მისთვის პირში, და გაღრეჭილმა ყველაფერზე თავი უნდა უქნიო, აი, ამას ჰქვია მეობის, თავისუფლების დაკარგვა და გაპედერასტება!**

მივუბრუნდეთ არჩევნებს. ამ წერილის ვრცელი შესავალი სწორედ არჩევნებისთვის ამომრჩევლის შემზადებას ისახავს მიზნად, მის სწორ ორიენტირებას. უკვე ხუთი საპრეზიდენტო კანდიდატია დასახელებული. ალბათ, კიდევ დაემატება რამდენიმე. ზოგი სახე ცნობილია, ზოგი — ნაკლებად, ზოგს პოლიტიკური გამოცდილება აქვს, ზოგსაც — არა. ბუნებრივია, ყველას გვინდა ისეთი პრეზიდენტი, ვინც პარლამენტთან და მთავრობასთან შეთანხმებული ძალისხმევით საქართველოს ისეთ, შედარებით(!) დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას შეეცდება, რომელიც სხვა სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინებასთან ერთად საკუთარი ინტერესების დაცვასაც მოახერხებს, ანუ იზრუნებს როგორც ეკონომიკურ აღმავლობაზე, ისე გადაშენების პირას მყოფი ქართველი ხალხის გამრავლებაზე, მისი ეთნიკური იდენტურობის — ტრადიციების, რწმენის და ენის შენარჩუნება-განვითარებაზე და, ცხადია, — საქართველოს გამთლიანებაზე. ასეთი ხელისუფალის (ხელისუფლების) ასარჩევად კი ძალზედ ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს.

დავიწყოთ იმით, რომ საარჩევნოდ არაფერი არ გვივარგა — არც კოდექსი და არც ცენტრალური საარჩევნო კომისია, არც სიებია დაზუსტებული და, ამასთან ერთად, არც „კარუსელები“, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და დაშინება-მოქრთამვაა ჩვენთვის უცხო. მაგრამ მოდით, ერთი წუთით დავუშვათ, რომ ყველაფერი მოწესრიგდა და მართლაც სანიმუშო არჩევნები ჩავატარეთ. არჩევნების წესიერად ჩატარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ წესიერ კაცს ავირჩევთ. წესიერში მარტო პატიოსანს არ ვგულისხმობ; პირველ რიგში, სახელმწიფოებრივად მოაზროვნეს, სახელმწიფოებრივად წესიერ და უშიშარ ადამიანს ვგულისხმობ, რომელიც ჯერ ერზე, ქვეყანაზე იფიქრებს და მხოლოდ შემდეგ — საკუთარ თავზე, საკუთარ ოჯახზე. ასეთი ერთი ადამიანის შერჩევაა ძნელი და, მით უფრო— 150-ის. ძნელია იმიტომ, რომ არჩევნებში, მის გაუყალბებლად ჩატარებასთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამომრჩევლის ტვინის სისტემატურ გამორეცხვას, კანდიდატების პიროვნული და საქმიანი თვისებების გაპიარებას. ყოველდღიურ ტვინის ბურღვას განათლებული ადამიანიც ვერ უძლებს, ვისაც პრესის კითხვის საშუალება აქვს და პოლიტიკური ტელედებატების საყურებელი დროც; ძალიან ძნელია, არ დაუჯერო საინფორმაციო საშუალებებს და პატივსაცემ პიროვნებებსაც, როცა ყველანი ერთ ხმაში გიქებენ ან გიძაგებენ ვინმეს. ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ, რომელი კანდიდატი როგორ მოგვხიბლავს თავისი გამოსვლებით, სიტყვა-პასუხით და, რაც მთავარია, დაპირებებით, მაგრამ ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ბევრ პოლიტიკოსს ენაც უჭრის და დაპირებებს, ზოგჯერ დაუჯერებელსაც, ისეთი რიხით იძლევა, გულუბრყვილო ადამიანი (და ასეთია უმეტესობა!) ადვილად იჯერებს მათ ნათქვამს (აფერისტები სწორედ ამ მომნუსხველი და მაჯერებლობით გამოირჩევიან ჩვეულებრივ ცხოვრებაში და ამიტომ ეგება მათ ანკესს ამდენი პატიოსანი ადამიანი!).

დასასრული. დასაწყისი იხ. № 108

მაშ **რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, რითი ვიხელმძღვანელოთ ხმის მიცემისას?** ცხადია, ზემოთ ნახსენებ ფაქტორებს ვერსად გავექცევით, მაგრამ კანდიდატის მომხიბვლელობაზე და მასზე გაცემულ დახასიათებებზე წინ უნდა დავაყენოთ მისი პოზიცია, გარკვევით და ყველასთვის გასაგებ ენაზე გამოთქმულ იმ აქტუალურ პრობლემებზე, რაც დღეს აწუხებს მოსახლეობას. ასეთ პრობლემებს რა გამოლევს დღევანდელ საქართველოში, მაგრამ უნდა შევეცადოთ, თითოეული კანდიდატისგან მივიღოთ პასუხები ისეთ კითხვებზე მაინც, რაც სწორი არჩევანის გაკეთებას გაგვიადვილებს.

კანდიდატების პასუხები, უპირველესად, საშუალებას მოგვცემს, გავერკვეთ მთავარში — თუ ვინ რისი და ვისი მომხრეა — დასავლეთის, ჩრდილოეთის თუ ოთხივე მიმართულების; ევროპულის და ამერიკულის, ანუ ყველაფრის ბრმად გადმოღების, თუ შერჩევითად, ჩვენი ინტერესების, ტრადიციების და რწმენის გათვალისწინებით. ცხადია, მიკიბულ-მოკიბული პასუხები არ მიიღება!

აი, ეს კითხვებიც, რომელიც ყველა კანდიდატს უნდა დაესვას:

1. მომხრე ხართ თუ არა ქართველი სამხედროების ავღანეთიდან გამოყვანის?

2. მომხრე ხართ თუ არა, რომ პრეზიდენტის არჩევნების პარალელურად ჩატარდეს ახალი პლებისციტი „ნატოში“ გაწევრებასთან დაკავშირებით?

3. მომხრე ხართ თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების?

4. მომხრე ხართ თუ არა ნაცმოძრაობის გასამართლების?

5.მომხრე ხართ თუ არა ჰომოსექსუალობის პროპაგანდის, ლგბტ აღლუმების და საჯარო გამოსვლების აკრძალვის?

6.მომხრე ხართ თუ არა ბიზნესების (ქონების) წართმევა-განაწილებაში მონაწილე და ბრძანების გამცემი პირების (არა შემსრულებლების) ქონების კონფისკაციის და ამ გზით დაზარალებულთათვის ზარალის ანაზღაურების?

7.უნდა დადგინდეს თუ არა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროები და მიღებული თანხების ხარჯვის მართლზომიერება?

8. უნდა გაიოლდეს თუ არა საქართველოს მოქალაქეობის მიღება ყველა ქართველისთვის (ისევე, როგორც ეს არის ისრაელში ებრაელთათვის)?

9. უნდა გამკაცრდეს თუ არა უცხოელებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება?

10. უნდა გამკაცრდეს თუ არა სავიზო რეჟიმი ბევრ ქვეყანასთან?

11. უნდა მიენიჭოს თუ არა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უპირატესი ადგილი და პრივილეგიები ქართველი ერისთვის გაწეული 17-საუკუნოვანი სამსახურისთვის ?

12. ჰიპოთეტური, მაგრამ სანატრელი შემოთავაზების შემთხვევაში, იტყვით თუ არა უარს ნატოზე აფხაზეთსამაჩაბლოს დაბრუნების სანაცვლოდ?

კითხვები კიდევ უამრავი არსებობს, შეიძლება რაიმე არსებითიც გამომრჩა, ზოგიც ზედმეტად მოეჩვენება ვინმეს, მაგრამ ეს არ არის მთავარი, კითხვარის დახვეწა ყველას შეუძლია, მთავარია, პრინციპი — ამ (და მსგავს) კითხვებზე კანდიდატების მიერ არაორაზროვნად გაცემული პასუხები გაცილებით უფრო ეფექტიანი იქნება ამომრჩევლის დასაკვალიანებლად, ვიდრე გაუთავებელი, ზოგადი ფრაზებით დახუნძლული გამოსვლები თუ დებატები, როცა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერ გაიგებ ვინ რა პოზიციაზე დგას საკვანძო საკითხებში. ჩემის აზრით, წარმატების მისაღწევად, კანდიდატთა გამოკითხვის სწორედ ეს მეთოდი უნდა გამოიყენოს არასაპარლამენტო ოპოზიციამ.

მაგრამ 100%-იან გარანტიას იმისას, რომ არ შეგვეშლება და ჩვენი მისწრაფებების გამტარებელ ადამიანს (ადამიანებს) ავირჩევთ, არც კითხვარი იძლევა. ეჭვგარეშეა, აღმოჩნდებიან ისეთი არაგულწრფელი კანდიდატებიც, რომლებიც ჩვენთვის სასურველ პასუხებს გაგვცემენ და მერე, არჩევის შემდეგ კი, თავის ჭკუაზე იმოქმედებენ. ამიტომ, თავის დასაზღვევად აუცილებელია არჩეული დეპუტატის გამოწვევის ისეთი მექანიზმის შემოღება, რომელიც ამომრჩეველს დაშვებული შეცდომის გამოსწორების საშუალებას მისცემს. დეპუტატი, რომელიც არ გამოხატავს ამომრჩევლის ნებას, რომელიც გადაუხვევს წინასაარჩევნოდ დაფიქსირებული პოზიციიდან და გაცემულ დაპირებებსაც დაივიწყებს, გამოწვეულ უნდა იქნას პარლამენტიდან. გამოწვევის წესი უნდა იყოს მარტივი, მაგრამ, არჩევის წესთან შედარებით — უფრო გამკაცრებული. თუ ასარჩევად საკმარისია საარჩევნო ყუთებთან მისული ამომრჩევლების 50 % (იმედია, ასე იქნება მომავალ არჩევნებში), გამოსაწვევად აუცილებელი უნდა იყოს ამომრჩეველთა საერთო, სიითი(!) რაოდენობის 50 %. დეპუტატის გამოწვევის საკითხის დასმა უნდა შეიძლებოდეს მისი არჩევიდან მხოლოდ ერთი წლის თავზე, და გამოწვეულ პარლამენტარზე არ უნდა გავრცელდეს ის შეღავათები (პენსია და სხვა), რითიც დეპუტატები მთელი დარჩენილი ცხოვრება სარგებლობენ (ეს შეზღუდვები უნდა გავრცელდეს ხელმეორედ არჩეულ დეპუტატებზეც, რათა ისინიც მუდმივ ტონუსში იმყოფებოდნენ!).

მართალია, პარტიული სიით გასული დეპუტატების გამოწვევა ამ გზით არ მოხერხდება, მაგრამ ამას აღარ ექნება არსებითი მნიშვნელობა, რადგანაც იმ შემთხვევაშიც კი, თუ სიით გასული დეპუტატების ერთი ნახევარი (50%!) მატყუარა გამოდგება, ისინი მაინც ვეღარ მოახდენენ ზეგავლენას პარლამენტის გადაწყვეტილებებზე, ვინაიდან ხალხის ნების გამომხატველი მაჟორიტარების 100% (გამოწვევის მექანიზმის წყალობით!) და სიით გასული წესიერი დეპუტატების მეორე 50 %, ჯამში 3/4-ს(!) მოგვცემს.

დანარჩენი, ოპოზიციური ძალების მარიფათზეა!

იაკობ ლეჟავა,
6 ივნისი, 2013

◎ ალიან-ჩალიანი

რამ მოწამლა სამხედროები?

სამხედრო მოსამსახურეების მოწამვლის გამო „ქართული კვების კომპანიის„ მენეჯმენტის სტრუქტურის სრული ცვლილება მოხდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნული შპს უზრუნველყოფდა შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა კვებას.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქართველი სამხედროების კვების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი თანამდებობიდან გათავისუფლებულია.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ბოლო მონაცემებით, 11 სამხედრო ახლა გადის შემოწმებას, რათა დადგინდეს, რამ მოწამლა ისინი. — მიუხედავად იმისა, რომ ფართომასშტაბიანი სახე ამ ფაქტს არ აქვს, მე მივიღე შესაბამისი გადაწყვეტილებები: თანამდებობიდან გათავისუფლებული იქნება ის მოხელე, ვინც ჩვენი სამხედროების კვების უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი; ასევე, მთლიანად შეიცვლება „ქართული კვების კომპანიის„ სტრუქტურა და მენეჯმენტი, რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალების კვებას. ჩემთვის და მთელი თავდაცვის სამინისტროსთვის, ჯარისკაცის კვებით უზრუნველყოფა არის იგივე, რაც საკუთარ ოჯახში, საკუთარი შვილი უზრუნველყო საკვებით. აქედან გამომდინარე, ეს არის უმთავრესი პრიორიტეტი და შესაბამისი გადაწყვეტილებები იქნა უკვე მიღებული, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მისივე თქმით, ამ საქმესთან დაკავშირებით გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ავლანეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ ერთხელ გააააქტიურა ნატოსა და რუსეთის თემა, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ოდესმე ეს საკითხი უკანა პლანზე გადასულიყო.

„თუ იმას ვიტყვით, უნდა მიგვეღო თუ არა ნატოს ოპერაციაში მონაწილეობა ზოგადად, მგონია, რომ უნდა მიგვეღო მონაწილეობა. სხვა შემთხვევაში ჩვენი რისკები არაფრით არ შემცირდებოდა და კიდევ, ის რისკები, რაც ქვეყნის შიგნით გვაქვს: ოკუპანტისა და აგრესორის შეჩერება, შემდგომი ოკუპაციის შეჩერება თუ მისი საქართველოდან გაყვანა, მხოლოდ დემოკრატიულ სამყაროსთან ერთად შეგვიძლია, აქ სხვა გზა არ არის. მე მსმენია მოსაზრება, რომ რუსეთი დააბრუნებს ოკუპირებულ ტერიტორიებს, თუ საქართველო უარს იტყვის ნატოზე. ღრმად მწამს, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთი, უბრალოდ, მიითვისებს მთელ დანარჩენ ტერიტორიას. ის არაფერს არ დააბრუნებს, თუ საქართველო უარს იტყვის ნატოზე. შესაბამისად, რისკი გაცილებით მეტია იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ არ ვიქნებით დემოკრატიული სამყაროს გვერდით“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.

რამდენიმე დღის წინათ ნატოსა და რუსეთის თემა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საზღვრის გადმოწევის ფაქტმა კიდევ ერთხელ გააააქტიურა.

რა სურს რუსეთს, რა საქართველოს და როგორია საქართველოს დღევანდელი შანსები და რისი მიღება შეგვიძლია, თუ დიპლომატიურ ალღოს სათანადოდ გამოვიყენებთ, ამ თემაზე ექსპერტი სოსო ცინცაძე გვესაუბრება.

ნატო თუ რუსეთი?!

— ბატონო სოსო, უკვე ალაპარაკდნენ რაღაც ახალ სცენარებზე, რომელიც უჩვენოდ იწერება, რამდენიმე დღის წინათ სადემარკაციო საკითხის გააქტიურებით რუსეთისგან მივიღეთ სრულიად მკაფიო გზავნილი. თქვენი შეფასებით რა ხდება?

— რაც შეეხება საზღვრის გადმოწევას, რუსული მხარე არც მალავს და შეგნებულად ისეთ ცინიკურ პასუხებს იძლევა, თუ სულელები არ ვართ, უნდა მივხვდეთ. ჯერჯერობით, კარასინის დონეზე არსებობს განცხადება, რომ ოსეთი დამოუკიდებელი ქვეყანაა და ის თავის საზღვრების მოწყობითაა დაკავებული. საინტერესოა, რომ კარასინი პირდაპირ ამბობს, ეს საკითხი ჟენევას არ ეხება, რადგან სასაზღვრო საკითხებისთვის არსებობს სპეციალური ქართულ-ოსური კომისია. თიბილოვმაც განაცხადა, რომ საქართველოს სუვერენიტეტს არ ეხებიან, საინჟინრო სამუშაოებს ატარებენ საკუთარ საზღვარზე.

მთავარი დამაფიქრებელი ფაქტორი, რომელსაც გვერდს უვლის საგარეო საქმეთა სამინისტროცა და ყველა სხვა უწყებაც, არის — „რატომ ხდება ეს?“ როდესაც პუტინს სააკაშვილი თავისი რიტორიკით ძალიან აღიზიანებდა, მაშინ რატომ არ მოხდა საზღვრის გადმოწევა და მავთულხლართების გავლება?

ეს დაემთხვა ახალი ხელისუფლების მოსვლას, რომლის წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი გზავნილი რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება იყო, რასაც მოჰყვა კიდეც საქართველოს მხრიდან გადადგმული პირველი ნაბიჯი.

ეს კი დიპლომატიაში ძალზე ბევრს ნიშნავს, თუმცა, რუსეთის მხრიდან ადეკვატური ნაბიჯი არ გადადგმულა და საქართველოს მცდელობა თავიდანვე განწირული იყო. რუსეთის პოლიტიკურ ჯურღმულებში გამოწვრთნილი კარასინის ფუნქცია ერთადერთი რამ იყო, — გაერკვია, რამდენად შორს აპირებდა წასვლას ბიძინა ივანიშვილი.

— ივანიშვილი და მისი გუნდი ყოველთვის აცხადებდა, რომ საგარეო კურსის შეცვლას არ აპირებდა...

— სიმართლე გითხრათ, ამ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადება სერიოზულად მაბნევსხოლმე, მაგალითად, ამას წინათ, „იმედის“ ეთერში ზაქარია ქუცნაშვილმა თქვა, რუსეთის მიმართ ახალი პოლიტიკა დავიწყეთო. როგორც ჩანს, დიპლომატიაზე იურისტის წარმოდგენა აქვს და ბოლომდე ვერ აცნობიერებს, რას ნიშნავს სახელმწიფოს მიერ არჩეული ახალი საგარეო პოლიტიკა — ჩვენი მთავარი ვექტორი შეიცვალა? ლექსიკის კორექტირება საერთოდ არ ნიშნავს ახალ საგარეო პოლიტიკას.

თუმცა, რუსეთი ჩვენგან სწორედ ახალ საგარეო პოლიტიკას ითხოვს. პუტინი რასაც არ ლაპარაკობს, ამას მისი რუპორები ამბობენ, დუგინი იქნება ეს, ლეონტიევი თუ ზატულინი. შემთხვევითი არ იყო კრემლის ერთ-ერთი იდეოლოგის დუგინის ინტერვიუ, სადაც ლაპარაკია, რომ საქართველოს ძალიან დიდი შანსი აქვს ტერიტორიული პრობლემის მოგვარებისა - შემოვიდეს ევრაზიულ კავშირში და მაშინვე გადაწყდება მისი ტერიტორიული მთლიანობის საკითხიც, ვინაიდან იქ უკვე საზღვრები არ იქნებაო.

თუ გვაინტერესებს, რუსეთისთვის რიტორიკის შეცვლა ბევრს არაფერს ნიშნავს. რუსეთს სწორედ პოლიტიკის შეცვლა უნდა, ნატოსა და ევროკავშირისათვის ზურგის შექცევა და ნელ-ნელა დრეიფი ევრაზიის კავშირისაკენ. ის, რასაც უკრაინას უკეთებენ. ასტანაში ჩაიყვანეს იანუკოვიჩი და პრაქტიკულად მიაბეს უკვე საბაჟო კავშირს, ვუყურებდი იანუკოვიჩს, სახეზე ზეთი ჩამოსდიოდა, ჩანდა, რომ ხელები გადაუგრიხეს და ისე აიძულეს. შემდეგ საქართველოს რიგიც მოვა.

უნდა ჩამოვყალიბდეთ: რაც უფრო მალე გავითავისებთ, რომ რუსეთი არასოდეს არ შეეგუება საქართველოს ნატოში გაწევრებას, მით უკეთესი იქნება. ვერასოდეს დავაჯერებთ რუსეთს, რომ საქართველოს ნატოში ყოფნა მისთვის არანაირი საფრთხე არ არის. მედვედევის კიდევ ერთი განცხადება გავიხსენოთ, როდესაც თქვა, რომ ომი იმიტომ დავიწყეთ, ნატო საქართველოში რომ არ გვენახაო. მეტი როგორღა უნდა თქვან?!

— შეიცვალა საქართველოსადმი რუსეთის დამოკიდებულება მას შემდეგ რაც ხელისუფლება შეიცვალა?

— მექმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთი კიდევ ერთხელ მოტყუვდა, შეიქმნა ილუზია, რომ ივანიშვილი მოწესრიგებაში გულისხმობდა ნატოსა და ევროკავშირზე უარის თქმას და ევრაზიისაკენ ნაბიჯის გადადგმას. ან აფხაზეთისა და ოსეთის აღიარებას და შემდეგ აქედან მოლაპარაკებების დაწყებას რაღაც ფორმით გაერთიანების შესახებ.

როდესაც რუსეთმა ნახა, რომ არანაირი ახალი პოლიტიკა არ დაწყებულა და უბრალოდ, პროდასავლური კურსის, უფრო ცივილიზებული შეფუთვა მოხდა, რუსეთი იმედგაცრუებულია და ცდილობს, რაშიც ვერ დაარწმუნა შევარდნაძე და სააკაშვილი, იმაში დაარწმუნოს ივანიშვილი, რომ საქართველოს რუსეთისა გარდა სხვა გზა არ აქვს.

— ბოლო დღეებში საქართველოში საკმაოდ დიდი დოზით იყვნენ წარმოდგენილი დასავლეთის, მათ შორის ნატოს წარმომადგენლები, ხომ არ ნიშნავს ეს ღიად გამოხატულ მხარდაჭერას, თუნდაც იმისათვის, რომ რუსეთის ამგვარ შემოტევებს გავუმკვლავდეთ?

— სიმართლე გითხრათ, ნატოს კვირეულს ყოველთვის ვესწრებოდი-ხოლმე, სიტყვითაც გამოვდიოდი და სემინარებსაც ვატარებდი, ახლა პირველად აღარ წავედი, უკვე მომბეზრდა ეს არაფრისმომტანი ბუტაფორია, აბსოლუტურად უშედეგო. მე შედეგი მაინტერესებს, დიპლომატია ფასდება მხოლოდ შედეგით და არა ღონისძიებებით.

ნათქვამია, მელას ძვალი არც ეთმობოდა და არც ერგებოდაო, ისეა დასავლეთიც, არც ჩვენი ნატოში მიღება უნდა და არც ჩვენი რუსეთისკენ წასვლა. სურს, რომ სულ მოლოდინის რეჟიმში ვიყოთ. სასაცილოა, ვაშაძე ამბობდა მოლოდინის სტრატეგია გვაქვს არჩეულიო, სხვაა როცა რაღაცას ელოდები და სხვა, როცა ნატოს მისაღებში დაგაბერებენ. ჩვენი ახალგაზრდა რეფორმატორები ამ მისაღებში ჩვენს თვალწინ გაჭაღარავდნენ და ალბათ, ასე გაგრძელდება დიდხანს.

— ვიცით, რომ დასავლეთისთვის საქართველო კარგი საჭრო თემაა რუსეთთან ურთიერთობისას, როგორ ფიქრობთ, ჩვენ რა გზა უნდა გამოვძებნოთ, რომ რაღაც ეფექტი მაინც მივიღოთ?

— ჩვენც უნდა ვივაჭროთ, ჩვენი სტრატეგიული შეცდომა ის იყო და ამის შესახებ მითქვამს კიდეც ჩვენი პრეზიდენტისთვის, რომ კვერცხები ერთ კალათაში ჩააწყო. ახლა პუტინი ელოდება, რომ ივანიშვილი იმ კვერცხებს ამოიღებს და მეორე კალათაში ჩააწყობს, მაგრამ ივანიშვილს სურს, მეორე კალათაში სხვა კვერცხები ჩააწყოს და ორი კალათა ჰქონდეს. მაგრამ რუსეთი ამას არ მიიღებს, მისთვის, ვინც მასთან არ არის, მისი მტერია. ეს არის რუსეთის ისტორიული დიპლომატია — ჩვენც უნდა ვივაჭროთ, ის კი არ უნდა ვამტკიცოთ, 100 წელი მოვითმენთ და რუსეთისკენ მაინც არ გავიხედავთო, არამედ ჩვენც უნდა ვაგრძნობინოთ დასავლეთს, რომ ძალიან ცუდი, მაგრამ ალტერნატივა მაინც — ეს არის დიპლომატია.

დღეს ვამაყობთ იმით, რომ დასავლეთის გარდა ალტერნატივა არა გვაქვს, საკითხავია, რატომ არ გვაქვს?! ეს არ არის დიპლომატია. ვერც ერთ დიპლომატიურ სახელმძღვანელოში ვერ ნახავთ, ქვეყანა ამბობდეს, ალტერნატივა არ მაქვსო. ყველა ამბობს, რომ ალტენატივა აქვს, თუნდაც მოჩვენებით. დღეს ვირტუალური ალტერნატივაა ჩვენთვის რუსული კურსი, მაგრამ მაინც ალტერნატივაა, ეს დიპლომატიაა, აუცილებელი კი არ არის, დილით რაღაცას რომ იტყვი, საღამოს შეასრულო.

დასავლეთმა ყურებით დაგვიჭირა და ნახეთ, რას გვეუბნებიან, ძალიან ბევრი გააკეთეთ, მაგრამ უფრო დიდი რამ დაგრჩათ გასაკეთებელიო. გაგიგონიათ ვინმეს ეთქვას ჩვენთვის დასავლეთში, თქვენ ნახევარი გზა უკვე გაიარეთო?!

— თქვენი პროგნოზით, ოქტომბრამდე რუსეთის შემოტევები კიდევ უფრო გააქტიურდება?

— მგონია, რომ ეს უფრო ოქტომბრის შემდეგ მოხდება. ვფიქრობ, ივანიშვილი მაინც ანგარიშს უწევს სააკაშვილის რეიტინგს უცხოეთში. მერე კი მგონია, რომ უნდა გადადგას ვიღაცისთვის არაპოპულარული ნაბიჯი ივანიშვილმა და უნდა დაიწყოს პუტინთან შეხვედრის გზების ძებნა. შეიძლება ეს შეხვედრა მოხდეს ოლიმპიადაზე, შესაძლოა, სადღაც ევროპაში და გარღვევას ამის შემდეგ ველოდები.

ჯერჯერობით ივანიშვილი შეხვედრაზე არ წავა, რადგან ვიდრე სააკაშვილს აქვს საშუალება, შეხვედრის მეორე დღიდანვე მთელი მსოფლიო შემოიაროს თავისი კომენტარებით, ივანიშვილი ასეთ საჩუქარს სააკაშვილს არ გაუკეთებს — ბუნებრივია და ესეც პოლიტიკაა. ამიტომ მოსალოდნელია, არჩევნების შემდეგ, როდესაც სააკაშვილი ჩვეულებრივი მოქალაქე იქნება და საკუთარი ფულით როგორც რიგითი მგზავრი ისე იფრენს მსოფლიოში, როცა სააკაშვილისთვის სხვა ქვეყნის პირველ პირთა კარი ასე ადვილად აღარ გაიღება, სულ სხვა რეალობა დადგება ივანიშვილისათვის.

ივანიშვილი კარგი გაგებით, უფრო გათამამდება და უფრო გაბედულ ნაბიჯებს გადადგამს. დღეს ივანიშვილის ყველა ნაბიჯს საგარეო მიმართულებით სააკაშვილის აჩრდილი ფარავს. თითქმის უმნიშვნელოა ოკუპაციის შესახებ კანონში შესატანი ცვლილება, დიპლომატიის ენაზე კი საერთოდ არაფერს არ ცვლის, მაგრამ ესეც პრობლემად იქცა და ქვეყნის ყოფნა-არყოფნის დონეზე აიყვანეს.

— ხშირად ამბობენ, რომ რუსეთის ბევრი ნაბიჯი მხოლოდ სააკაშვილის წისქვილზე უშვებს წყალს, თქვენი შეფასებით მართლაც ხდება ასეთი თანხვედრა?

— საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი წელი მაინც რომ იყოს დარჩენილი, „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირება რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. ეს ვადა 4-5 თვეში იწურება და რაც ხდება, ეს ტრაგედია არ არის. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ამის შემდეგ თუ იარსებებს კრეატიული გადაწყვეტილებების პოტენციალი ჩვენს საგარეო უწყებაში, თუ ქართული დიპლომატიური არსენალის შემადგენელი ნაწილი ინტელექტი გახდება, რასაც დღეს, ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ ვხედავ, ბევრი სასარგებლო ნაბიჯის გადადგმა შეიძლება.

მეტი პროფესიონალიზი გვჭირდება საგარეო მიმართულებით და ელჩების საკითხსაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა მივხედოთ. განსაკუთრებით, როდესაც საფრანგეთსა და გერმანიაზეა საუბარი, რადგან ეს ის ქვეყნებია, რომლებსაც საქართველოს ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით რუსეთზე არანაკლები წონა აქვთ.

ლალი ზირაქიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

თავს კარგად გრძნობენ, მხოლოდ ტელევიზორს ითხოვენ

ე.წ. მატროსოვის ციხეში ტელევიზორით სარგებლობის საშუალება მხოლოდ რამდენიმე პატიმარს, მათ შორის ბაჩანა ახალაიას აქვს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ომბუდსმენის აპარატიდან აცნობეს. ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, უკლებლივ ყველა პატიმრის განცხადებით, მათ მიმართ მოპყრობა ნორმალურია.

ომბუდსმენის აპარატში აღნიშნავენ, რომ 2012 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს №7 და №9 დაწესებულების დახურულ ნაწილში ტელევიზორით სარგებლობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა — №7 დაწესებულებაში განთავსებულ პატიმრებს მიეცათ უფლება, იქონიონ ტელევიზორები, თუმცა №9 დაწესებულების დახურულ ნაწილში განთავსებული პატიმრების უმრავლესობას კვლავ არ ეძლევა საშუალება, ისარგებლოს ტელევიზორით.

— საბოლოო ჯამში, ამჟამად ტელევიზორის ქონა ყველა ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია დაშვებული. გამონაკლისია №9 დაწესებულება, რაც აღნიშნულ აკრძალვას დისკრიმინაციულ ხასიათს ანიჭებს. სპეციალური პრევენციული ჯგუფი იმედს იტოვებს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო აღნიშნულ პრობლემას დროულად გადაწყვეტს, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მოგვაწვდის ინფორმაციას, რა საფუძვლით არ ეძლევათ №9 დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს ტელევიზორით სარეგებლობის უფლება, — აღნიშნულია სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ახლო აღმოსავლეთი ირანის საპრეზიდენტო არჩევნების ჭრილში

შიდა პრობლემებით გართულ საზოგადოებას რომ ყურადღება არ ჰქონდეს მიპყრობილი მეზობელი ქვეყნებისადმი, სულაც არ არის გასაკვირი, არადა, იქ მიმდინარე პროცესები ხშირად ჩვენზეც აისახება. რეგიონი, სადაც საქართველო არსებობს, მსოფლიოს უცხელეს რეგიონად ითვლება, ისეთად, ბადალი რომ არ ჰყავს მთელს მსოფლიოში, **და რაც არ უნდა დავიჩემოთ ევროპელეობა, ახლო აღმოსავლეთთან თუნდაც ტერიტორიული სიახლოვე თავისთავად იმოქმედებს ჩვენზე. თუ ევროპასა და სხვა კონტინენტებზე მოქმედებს, გეოგრაფიულად მის მეზობლად მყოფზე არ იმოქმედებს?**

ახლო აღმოსავლეთი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არასამართლიანი გადანაწილების გამო, მოქმედი ვულკანის შეგრძნებას რომ იწვევს – ფაქტია. რამდენჯერ ამოიფრქვა ეს ვულკანი მას შემდეგ, თვლა არ აქვს. ყოველმა ამოფრქვევამ ასეულათასობით ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირა, ესეც ფაქტია.

გაუთავებელ ომებს, რომლებსაც მცირეხნიანი შესვენება ახლავს თან, არათუ რეგიონისთვის, კაცობრიობისთვისაც განუსაზღვრელი თავისტკივილი მოაქვს, რომლის წამლის გამოძებნაც ჭირს. ჭირს, უპირველესად, იმიტომ, რომ პრობლემებში ჩართული ნებისმიერი დიდი თუ პატარა სახელმწიფო, ავადმყოფს საკუთარ აბებს უნიშნავს, ისეთს, რომელიც საბოლოოდ, ექიმის სასარგებლო უფროა, ვიდრე პაციენტის. კონფლიქტში მონაწილენი თავისებურ ჭკუას ხმარობენ – იღებენ ხან ერთი, ხან მეორე მხარის შემოთავაზებას.

მღვრიე წყალია ახლო აღმოსავლეთში – დიდი ქვეყნების მიერ დაგუბებული და ამ წყალში უმოწყალოდ აფათურებენ ხელს ძლიერნი ამა ქვეყნისანი აშშ-ს, ევროკავშირის, არაბული ქვეყნების, ისრაელის, რუსეთისა და სხვათა სახით. ყველა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს - ერთმანეთის საპირისპიროდ, რაც თავისთავად ძაბავს ვითარებას.

დღევანდელი დაძაბულობის ეპიცენტრი სირიაა. ორი წელია, იქ ომი მიმდინარეობს, რომელსაც შეიძლება სამოქალაქოც ეწოდოს, გარე ძალების მიერ საერთაშორისო ტერორისტ „ბოევიკთა“ მისევა დასავლეთის არასასურველ ბაშარ ასადის ხელისუფლებაზე, დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირებაც, რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებული ომიც და სხვა.

სირიასთან მიმართებაში ყველას საკუთარი ინტერესი აქვს: აშშ-ს, არაბულ ქვეყნებს, თურქეთს, რუსეთს, ირანს, ჩინეთს, ევროპას. ინტერესთა თანხვედრა აშკარაა აშშ-ს, ევროკავშირს, თურქეთს, ისრაელს, არაბული სახელმწიფოებს შორის.

სხვა ინტერესთა თანხვედრაა რუსეთს, ირანს, „ჰამასს“, „ჰესბოლას“, ჩინეთს შორის – პირველი ჯგუფის ინტერესებისგან მკვეთრად განსხვავებული. ამ ორი ჯგუფის ინტერესები შეჯერდება მომავალ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ჟენევაში გაიმართება. შეძლებენ მხარეები შეთანხმებას? ძნელი სავარაუდოა – პრობლემათა სიუხვე არ იძლევა ამის შანსს.

სირიაში კი ომი გრძელდება, ამჯერად, სახელისუფლებო ჯარების უპირატესობით, რომლის მხარეზეც იბრძვიან ლიბანში არსებული ორგანიზაცია „ჰესბოლას“ მეომრები. სირიის ხელისუფლებას ეხმარებიან ირანი და რუსეთი – ამ უკანასკნელმა სირიას ახლახან C-300 ანტისარაკეტო სისტემა მიაწოდა.

რაც შეეხება დასავლეთს – ის კარგა ხანია, ამარაგებს ანტისამთავრობო ძალებს იარაღით, ინფორმაციით, ფულით, თუმცა არა გახსნილად. ევროკავშირის მაღალჩინოსანთა ამასწინანდელ შეხვედრაზე კი გადაწყდა, რომ მეამბოხეთათვის, ადრე მიღებული შეთანხმება, იარაღის ემბარგოსთან დაკავშირებით, მოხსნილიყო. ემბარგოს მოხსნა ნიშნავს ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყნის მხრიდან მეამბოხეთა იარაღით მომარაგებას.

აშშ-სთვის სირიის ხელისუფლების დამხობა ნიშნავს ირანზე იერიშის მიტანის გზის გათავისუფლებას. ირანისკენ მიმავალ გზაზე სირიის დაცემას დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც კარგად უწყის ყველამ, უპირველესად, ირანმა, რომელიც ძალას არ იშურებს მოკავშირე ასადის გადასარჩენად.

სირია-ირანის დამარცხება აშშ-ის უახლოესი ისტორის მთავარი საპროგრამო ამოცანაა. ამოხსნის ვაშინგტონი ამოცანას – საკმაო ხნის განმავლობაში განიმტკიცებს პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში, ხელ-ფეხს გაიხსნის რუსეთ-ჩინეთის წინააღმდეგ ფარულ თუ ღია დაპირისპირებაში, დიდ თავსატკივარს ააშორებს ისრაელს, საუდის არაბეთს, არაბთა საამიროებს, თურქეთს, ირანის რეგიონული ამბიციების სახით.

ირანის დაჩოქება ნიშნავს აშშ-ის ჰეგემონიზმის განმტკიცებას, მრავალპოლუსიანი მსოფლიო იდეისთვის წყლის შეყენებას, რეგიონში აშშ-ს და მისი მოკავშირეების უკიდეგანო პარპაშს. ირანის დაცემა კარგს არაფერს მოუტანს რუსეთს, რაც კარგად იცის მან. კრემლმა თავი უნდა აარიდოს ამერიკელთა ნებისმიერ შეთავაზებას ირანის სანაცვლოდ. ირანის კარტი, სხვით, ვერაფრით გადაიჭრება.

ირანთან დაკავშირებით თვალის დახუჭვა, ისე, როგორც ეს ხდებოდა ლიბიასთან მიმართებაში, ძვირი დაუჯდება რუსეთს. დღეს უკვე ნათელია, რომ მედვედევის პრეზიდენტობისას ირანისთვის რაკეტსაწინააღმდეგო C-300 სისტემის მოწოდებაზე უარის თქმა, იყო კრემლის უხეში შეცდომა, რამაც ირანიც გაანაწყენა და რაც მთავარია, არც ამერიკულ გაუმაძღრობას დაუსვა წერტილი.

ირანი, დასავლეთის ჟურნალისტთა, პოლიტიკოსთა და ექსპერტთა წყალობით, ისეთ მონსტრად არის წარმოდგენილი, თითქოს საზარელი ქვეყანა იყოს. არადა, საკმარისია ირანში ერთი ვიზიტიც კი, რომ დასავლელთა მიერ დახატული ურჩხულის პორტრეტი სამარადისოდ გაქრეს.

რა გვესმის ჩვენ ირანზე? უპირველესად ის, რომ ქალები დადიან ჩადრით. მათი სხეული მთლიანად დაფარულია, მხოლოდ თვალები უჩანთ, რომ იქ უმკაცრესი კანონებია, რომლებიც ყველამ უნდა დაიცვას, მათ შორის სტუმრად მყოფმა უცხოელმა ქალებმა; ის, რომ ქალებისთვის ირანში მოგზაურობა სახიფათოა, ვინაიდან ისინი შეიძლება მონობაში აღმოჩნდნენ.

ვიცით იმის შესახებ, რომ ირანი ამზადებს ბირთვულ ბომბს და ეს რომ არ მოხდეს, დასავლეთი მის წინააღმდეგ აწესებს ეკონომიკურ სანქციებს. გვესმის ის, რომ ირანში ცხოვრობენ ტერორისტები, რომლებსაც ასპონსორებს ხელისუფლება და ამიტომაც ამერიკამ ირანი გამოაცხადა „ბოროტების ღერძად“ და სხვა.

ირანში ქალები არ ატარებენ ჩადრს. კანონის მიხედვით, ისინი თავშლით იფარავენ თმებს. ტანზე ლაბადას იცმავენ. სახე დაფარული არ აქვთ. ამ წესს უნდა დაემორჩილოს ირანში ჩასული უცხოელიც. ირანში „მშრალი“ კანონია, ანუ აკრძალულია ალკოჰოლური სასმელები, ლუდის ჩათვლით. უცხოელს ეკრძალება ქვეყანაში ალკოჰოლური სასმელის შეტანა. ირანში არ ცხოვრობენ ტერორისტები, არც ტერორისტებს ამზადებენ, არ მოჰყავთ ოპიუმი და არ ამზადებენ იარაღს კონტრაბანდისთვის. ირანი იბრძვის ტერორიზმისა და ნარკოტიკების წინააღმდეგ.

ირანი ის ქვეყანაა, სადაც დღე-ღამის განმავლობაში, ყოვლად უხიფათოდ შეიძლება ქუჩაში სეირნობა. ირანელები თბილი, კეთილად განწყობილი ხალხია. მათგან არ იგრძნობა დაძაბულობა, რასაც, სამწუხაროდ, შეხვდებით საქართველოს ქალაქების თავშეყრის ადგილებში. ნაწილობრივად, ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ირანელი თვით არის ნეგატიურად განწყობილი ალკოჰოლური სასმელებისადმი.

ყურანი კრძალავს ვინმეს მოტყუებას, ქურდობას, თაღლითობას. მოსახლეობის უმრავლესობა ცდილობს დაიცვას ეს პრინციპები. ირანელები დღეში ხუთჯერ ლოცულობენ. ლოცვას, რიტუალური განწმენდა უძღვის, რაც თავისთავად მეტყველებს ირანელთა ჰიგიენაზე. რამადანის დროს უმრავლესობა მარხულობს, კითხულობს ყურანს, მეტ დროს ატარებს ახლობლებთან, დადის სტუმრად და საჩუქრებს ჩუქნის – მისდევს ქველმოქმედებას.

ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ირანელი ქალი უუფლებოა. ოჯახში მას დიდი ავტორიტეტი აქვს, არანაკლები, ვიდრე მამაკაცს. ირანელი ქალი დამოუკიდებელია. ის მსახურობს და იღებს გადაწყვეტილებას. მას შეუძლია ქმართან გაყრა. ირანელი ქალები მაკიაჟსაც ხმარობენ და თვალებსაც იხატავენ, პომადასაც ისვამენ.

სილამაზისთვის ხშირად მიმართავენ პლასტიკურ ოპერაციას, განსაკუთრებით ცხვირის. პლასტიკური ოპერაცია პრესტიჟულად ითვლება და ამიტომაც არავინ ერიდება დაბინტული ცხვირით ქუჩაში სიარულს – პირიქით. ირანელი ქალები არც მოწევას ერიდებიან. ხშირად მინახავს საჭესთან მჯდომი, თავწაკრული ქალი, სიგარეტით.

რაც შეეხება საქალაქო ტრანსპორტს – საკმაოდ განვითარებულია, თანაც იაფი. ავტობუსის ბილეთის ფასი 20 ცენტს არ აღემატება, მეტროსი – 10 ცენტს. მეტროს ვაგონები კონდიცირებული და კომფორტულია. მეტროს დიდი მნიშვნელობა აქვს დედაქალაქ თეირანისთვის. თითქმის 18-მილიონიანი ქალაქის ავტომანქანებით გადატვირთულობა აშკარად თვალშისაცემია, ხშირია საცობებიც. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ქალაქი ღამითაც არ იძინებს. ავტობუსები კონდიცირებულია, გარდა ამისა, ტელევიზორით შეიძლება ფილმის ყურებაც.

ერთ რამედ ღირს ირანის ბაზრებში გასეირნება. უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლილი, დახურული ბაზრები სავსეა სხვადასხვა სახის ნაწარმით: ოქრო-ვერცხლით, სუვენირებით, სხვადასხვა სახის ნაკეთობებით, ხილით, პროდუქტებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ერთი სიტყვით, რას არ ნახავთ იქ. თვალს იპყრობს მსოფლიოში განთქმული ნოხები – აბრეშუმისა და შალისგან დამზადებული. ფასიც შესაბამისია.

ირანის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მაჰმადიანი შიიტია. მათი დამოკიდებულება მაჰმადიანი სუნიტებისადმი ისეთი დაძაბული არ არის, როგორც სხვა მაჰმადიანურ ქვეყნებში. ირანში სხვა რელიგიებიცაა წარმოდგენილი, მათზე რაიმე შეზღუდვა არ არსებობს. უზარმაზარი მეჩეთები არა მარტო სალოცავებია, არამედ თავშეყრის, ერთმანეთის მონახულების ადგილებიც. მეჩეთების ეზოებში, მდელოზე გაშლილ ნოხზე მჯდომი ირანული ოჯახი, ჩვეულებრივი რამ არის. ზაფხულში, გვიან ღამითაც შეხვდებით ასეთ სურათს.

ირანი ის სახელმწიფოა, სადაც ქვეყნის საერო მმართველობასთან ერთად იგრძნობა შიიზმის გავლენაც. ქვეყანას, საბჭოს მიერ არჩეული სულიერი ლიდერი, აიათოლა ხამენეი უდგას სათავეში. ყოველდღიურ საქმიანობას კი აღმასრულებელი ხელისუფლება და პრეზიდენტი წარმართავენ. აღმასრულებელი ხელისუფლება ანგარიშვალდებულია სულიერი ლიდერისა და პარლამენტის წინაშე, და ეს ვალდებულება ყასიდი, მოჩვენებითი ნამდვილად არ არის. პარლამენტის მიერ პრეზიდენტის ან მინისტრების დაბარებაც ჩვეულებრივი რამ გახლავთ..

ირანში 14 ივნისს გაიმართება საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას ვეღარ მიიღებს ამჟამინდელი პრეზიდენტი აჰმადინეჟადი. კონსტიტუციით მას ეკრძალება არჩევნებში ზედიზედ მესამე ვადით მონაწილეობა. აჰმადინეჟადს ერთი საპრეზიდენტო ვადის გავლის შემდეგ შეეძლება არჩევნებში მონაწილეობა, ისე, როგორც სხვა ყოფილ პრეზიდენტებს.

ერთმა ასეთმა ყოფილმა პრეზიდენტმა ჰაშემი რაფსანჯანიმ გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, დამკვირვებელთა საბჭომ დაიწუნა 78 წლის კანდიდატობის მსურველი. რაფსანჯანის ბედი გაიზიარა 686 კანდიდატობის მსურველმა, მათ შორის 30 ქალმაც. საბოლოო ჯამში საბჭო 8 კანდიდატზე შეჩერდა.

ირანული წყაროების მიხედვით, 8 კანდიდატიდან – 4 სულიერი ლიდერის ხამენეის მხარდაჭერით სარგებლობს, დანარჩენები რეფორმატორის სახელით არიან ცნობილი.

რაფსანჯანის არჩევნებიდან მოხსნა არასასიამოვნო რამ იყო რეფორმატორულად განწყობილი საზოგადოებისთვის, რომლის სურვილია ირანის საერო სახელმწიფოდ გადაქცევა. რაფსანჯანის მისამართით შემდეგი რამ ითქვა: „პირი, რომელსაც სურდა მაღალი ადმინისტრაციის თანამდებობის დაკავება, მაგრამ, რომელსაც დღეში მხოლოდ რამდენიმე საათი შეეძლო ემუშავა, არ შეიძლებოდა დაშვებულიყო არჩევნებზე“.

არანაკლები ხმაური გამოიწვია მეორე კანდიდატის ესფანდიარ რაჰიმ მაშაის მოხსნამაც. ეს პიროვნება აჰმადინეჟადის ადმინისტრაციის უფროსი იყო. ის პრეზიდენტის სიძეა, მას მხარს დღევანდელი პრეზიდენტი უჭერდა. მისდა სამწუხაროდ, საბჭოსთან ის ვერაფერს გახდა.

საბოლოო ჯამში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ: მუჰამედ რეზა არეფი - ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, ჰასან რუჰანი – ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი, ფოსტა-ტელეგრაფის ყოფილი მინისტრი – საიდ მოჰამად გარაზი. ანალიტიკოსებს ისინი რეფორმატორებად მიაჩნიათ, თან ნაკლებად წარმატებულ კანდიდატებად.

არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ: ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ალი აკბარ ველაიათი, თეირანის მერი მოჰამად ბაგერ გალიბაფი, ირანის უშიშროების საბჭოს მდივანი საიდ ჯალილი და პარლამენტის ექს-სპიკერი ალი ჰადად ადელი. ყველა მათგანი რეჟიმის მხარდაჭერით სარგებლობს.

ირანელი ექსპერტების მიხედვით, მათ შორის გამსვლელად – თეირანის მერი მოიაზრება. ეს პიროვნება ირან-ერაყის ომის დროს (1980-88 წლები) ისლამის გუშაგთა კორპუსში მსახურობდა, შემდეგ – სამხედრო-საჰაერო ძალებში, შემდეგ ხელმძღვანელობდა ირანის პოლიციას.

ქვეყნის საშინაო ან საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით კანდიდატებს შორის დიდი განსხვავება არ არის. ყველა მათგანი ერთსულოვანია ბირთვული კვლევების გაგრძელების თვალსაზრისით. ირანის ახალი პრეზიდენტის უპირველესი მოვალეობა იქნება ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური პრობლემების გამოსწორება, თუმცა, ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდებდა აშშ-ს და ევროკავშირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რაც, უპირველესად, ეკონომიკური სანქციების დაწესებაში გამოიხატება. სულ ახლახან, აშშ ადმინისტრაციამ ერთი ახალი სანქცია დაუწესა ირანს, რომელიც კიდევ უფრო გააუარესებს რიგითი ირანელის ცხოვრებას.

აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ აღებული კურსი სირია-ირანის ხელისუფალთა „მოგუდვის“ თაობაზე გრძელდება. რას დაუპირისპირებს ირანის ახალი პრეზიდენტი დასავლეთის გეგმებს, უახლოეს მომავალში გამოჩნდება. ქვეყნის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ხამენეიმ ამასწინანდელ გამოსვლაში აღნიშნა, რომ ახალი პრეზიდენტისა და მთავრობის უპირველესი მოვალეობა იქნება უცხოეთის სახელმწიფოებთან კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბება, თუმცა, არა ისე, რომ ირანმა ავნოს თავის თავს.

ახალი პრეზიდენტის არჩევა არ გულისხმობს ქვეყნის მიერ აღებული საგარეო კურსის კარდინალურ ცვლას. არ შეიცვლება ირანის პოლიტიკა ურანის გამდიდრებასთან დაკავშირებით. ირანი დაბეჯითებით იბრძოლებს დაწესებული სანქციების გაუქმების, ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებისთვის. თუ რამდენად შეძლებს ახალი პრეზიდენტი ამ პრობლემების მოგვარებას, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„შარვალი ჩამხადეს და მაგიდაზე გადამაწვინეს“...

***თავდაცვის** სამინისტროს სახმელეთო ჯარების შტაბის დაზვერვის სამმართველოს დაგეგმარების განყოფილების ოფიცერი დავით ლონდარიძე 2011 წლის 16 სექტემბერს დილის 5:30 წუთზე სამხედრო პოლიციაში დაიბარეს. დაბარების მიზეზი მისთვის ტელეფონით არ განუმარტავთ. ადგილზე მისული ლონდარიძე სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსის მეგის ქარდავას კაბინეტში შეიყვანეს. ქარდავამ მას თავდაპირველად მოსთხოვა, ეღიარებინა, რატომ ინახავდა უჯრაში ნარკოტიკულ ნივთიერებას, რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ კი ქარდავამ უკვე კატეგორიულად მოსთხოვა, ეთქვა, რომ იგი რუსეთის სამხედრო დაზვერვის სასრგებლოდ ჯაშუშობდა.*

ვიცე-პოლკოვნიკმა ქარდავას განუმარტა, რომ მისთვის, როგორც სამხედროსთვის შეურაცხმყოფელი იყო მისი წინადადება, რამაც ქარდავას გაღიზიანება გამოიწვია და ვიცე-პოლკოვნიკი ლონდარიძე საკუთარ კაბინეტში სასტიკად სცემა. მოგვიანებით საქმეში თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია და „კუდ“-ის დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე დათა ახალაია ჩაერთვნენ. ვიცე-პოლკოვნიკი ბაჩო ახალაიასა და მეგის ქარდავას მხრიდან სასტიკი ძალადობის მსხვერპლი გახდა.

მაღალჩინოსნები ლონდარიძით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც მათთვის ცნობილი გახდა, რომ რუსთავში, ავტობაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი, დავით ლონდარიძის დედის კუთვნილება იყო. ლონდარიძე 2011 წლის ივნისში დაიბარა მეგის ქარდავამ და მოსთხოვა, რომ მიწის ნაკვეთი, რომლის ღირებულება 50 ათასი დოლარი იყო, მათთვის დაეთმო. ლონდარიძემ დედის სახელზე არსებული მიწის ნაკვეთი ქარდავას არ დაუთმო.

შვილის ბრალეულობაზე საუბარი არ სურს მეგის ქარდავას მამას სერგო ქარდავას. როგორც მან For.ge-სთან საუბრისას აღნიშნა, მიმდინარეობს გამოძიება და გამოძიების შედეგები მისთვის უცნობია: „მე არაფერი არ ვიცი, ყველაფერს გამოძიება გაარკვევს,“ – აღნიშნა სერგო ქარდავამ.

*რაც შეეხება **დავით ლონდარიძეს**, მან ჩვენს კითხვებს უპასუხა:*

– ბატონო დავით, როდის დაგაკავეს?

– 2011 წლის 16 სექტემბერს ხუთის ნახევარზე დამიკავშირდნენ თავდაცვის სამინისტროდან, მითხრეს, სასწრაფოდ გამოცხადდი სამსახურშიო. ვიკითხე რა ხდება-მეთქი, გამიმეორეს, სასწრაფოდ გამოცხადდიო. 5 საათზე უკვე ადგილზე ვიყავი. ტელეფონით მოვახსენე, რომ ტერიტორიაზე ვიყავი. მითხრეს, მოვა სამხედრო პოლიციის წარმომადგენელი და მოგაცილებს სამხედრო პოლიციაშიო. გამიკვირდა, სამხედრო პოლიციას რა უნდა-მეთქი? შემიყვანეს სამხედრო პოლიციის უფროსის მოადგილის მეგის ქარდავას ოთახში.

ადრე მქონდა საუბარი ქარდავასთან, მაგრამ არ მაინტერესებდა, ვინ იყო. მას პოლკოვნიკის წოდება ჰქონდა, მე – ვიცე-პოლკოვნიკის. მოვახსენე, – ბატონო პოლკოვნიკო, ვიცე-პოლკოვნიკი დავით ლონდარიძე თქვენი ბრძანების თანახმად გამოვცხადდი. ჩავაბარე პარტაკი ჩამოვუშვი ხელი და ველოდები განკარგულებას. იგი კი მიყურებდა და არაფერს მეუბნებოდა, მაფასებდა, ასეთი პრინციპი ჰქონდა ბაჩო ახალაიასაც და, როგორც ჩანს, მისგან გადაიღო. ვერ გავიგე, რა ხდებოდა.

2-3 წუთის გასვლის შემდეგ მკითხა – ნარკოტიკს რატომ ინახავ შენს სამუშაო კაბინეტშიო. უცებ ვერ გავიგე და ვუთხარი, რა უაზრობას მეკითხებით, საიდან ეს ინფორმაცია, მე და ნარკოტიკი ძალიან შორს ვართ, სიგარეტი არ მომიწვია არასოდეს. სასმელსაც კი არ ვსვამდი და ეს კაცი მეკითხება ნარკოტიკს რა უნდოდა შენს სამუშაო ოთახშიო. მიმეორებდა, ნარკოტიკს რატომ ინახავდი, ფული გაკლია, ცოტა ხელფასს იღებ თუ რაო. მაშინ ვუთხარი ქარდავას, რომ ამას არავინ დაგიჯერებთ, სრული აბსურდია-მეთქი.

– მართლა „იპოვეს“ ნარკოტიკი თქვეს კაბინეტში?

– არა, რას ამბობთ.

– რა ნარკოტიკზე გელაპარაკებოდათ, არ გაჩვენათ როგორც ნივთმტკიცება?

– კი, როცა გამიმეორა, ბიჭო, ნარკოტიკს რატომ ინახავდიო, ამოიღო თავისი უჯრიდან პაკეტი, ეს ვისიაო? არც ვიცი, რა იყო. ამის შემდეგ მეკითხება, სამშობლოს რატომ ღალატობ, ბიჭო! მე სამხედრო პირი ვარ და ჩემთვის ეს იყო შეურაცხყოფა, როცა ვიღაცა ასე მოგმართავს და გეუბნება, სამშობლოს რატომ ღალატობო. დამიწყო დაკითხვა, სამშობლოს როდის უღალატე, ჯარში როდის იყავიო. მაშინ მივხვდი, რომ რაღაცა პროვოკაცია იგეგმებოდა. ვუთხარი კიდევაც ქარდავას „ენვერი 2“ დაიწყო-მეთქი?

– რა გიპასუხათ?

– იქვე მყოფ ერთ-ერთ პირს შეეკითხა, რას ლაპარაკობს, რა ენვერიო? ესენი ხომ ერთ უჯრედიანები არიან. შეუსაბამოდ იქცეოდა. ნასვამი იყო თუ წამლის ზემოქმედების ქვეშ, ვერ გეტყვით. არანორმალურად იქცეოდა.

– დიალოგი როგორ გაგრძელდა?

– ფეხზე წამოვდექი და ვუთხარი, ბატონო პოლკოვნიკო, ვერ გავიგე, რას მეკითხებით, ასეთი რამე წარმოუდგენელია-მეთქი. იმდენი რამე მაქვს ჩემი ქვეყნისთვის გაკეთებული, ასეთი რამ არ უნდა მაკადრომეთქი. ახლოს მოვიდა და მიყვირა, რა ვერ გაიგე, ბიჭოო, და თავში ჩამარტყა ხელი, დამიწყო გინება. რა ვერ გაიგე, შენი დედა .... და ისევ დამარტყა თავში. გვერდზე ჰყავდა თავისი ქვეშევრდომები, მეცნენ ისინი და ქარდავას კაბინეტშივე მცემეს. წამაქციეს და თავში მირტყამდნენ წიხლებს.

გამომართვეს ტელეფონი და დაიწყეს ნომრის დათვალიერება. მეკითხებოდნენ, ეს ვინ არის, ეს ვინ არისო. ყველას ვახასიათებდი, ვინც იყო. როდესაც ბატონ სერგო თეთრაძეზე მკითხეს, ვუთხარი, რომ ეს ჩემი ძველი თანამშრომელია, 7 წელი ერთად ვმსახურობდით-მეთქი. ბატონი სერგო პენსიაზე იყო გასული, მაგრამ ნომერი მაინც მქონდა, მოვიკითხავდით ხოლმე ერთმანეთს. ამის მერე შემიყვანეს გვერდზე ოთახში და იქ გააგრძელეს ჩემი ცემა.

– სამხედრო პოლიციაში რამდენი ხანი გრძელდებოდა თქვენი ცემა?

– ყოველ 15 წუთში შევყავდით ქარდავას კაბინეტში, ის ითხოვდა მეღიარებინა ჯაშუშობა. უარზე ვიყავი, გამიყვანდნენ და გრძელდებოდა ცემა. 16 სექტემბერს დილით რომ დაიწყეს ჩემი ცემა, საღამომდე გრძელდებოდა.

– ბაჩო ახალაიასთან თუ გქონდათ შეხება?

– რა თქმა უნდა. ბაჩო ახალაია მოსული იყო. იკითხა, რას შვრებით, აღიარებინეთო? ქარდავამ უპასუხა, – არა, არაფერს არ ამბობსო. ამის მერე ახალაიამ დამიწყო გინება, ... პისტოლეტი ეკავა ხელში და ის ჩამარტყა თავში. გააღე პირი, შენიო ..... და ლულა ჩამიდო პირში, აღიარე ახლავე შენი დედა ..... თორემ შუბლს გაგიხვრეტო.

უკვე იმ დონეზე ვიყავი მისული, რომ პისტოლეტი გადატენილი რომ ჰქონოდა, ვწვდებოდი თითებში და გავასროლინებდი, თავს მოვიკლავდი და მორჩებოდა წამება. აღარ შემეძლო, ისეთ დღეში ვიყავი. ახალაია ყვიროდა, გაიყვანეთ ეს დედა..... თორემ მომეკვლევინება, ამის დედ....ო. შემდეგ მოვიდა მისი ძმა დათა ახალაია და მითხრა – აღიარე, ბიჭო, მოგისჯიან და მალე გამოხვალ, ხომ იცი ეს ჩემი ძმა გიჟია, მოგკლავსო. კეთილი პოლიციელის როლს ასრულებდა.

– რატომ აღიარეთ საბოლოოდ ჯაშუშობა?

– ისე მცემეს, რომ ნამსხვრევებად ვიყავი ქცეული, ფეხზე ვერ ვდგებოდი, სისხლში ვცურავდი. შემიყვანეს ისევ ქარდავას ოთახში. ქარდავა მეკითხება – კიდევ არ აღიარებო? რაზეც ვუპასუხე – რა ვაღიარო, გამორიცხულია, არ ვაღიარებ-მეთქი. მაშინ ქარდავამ ბიჭებს დაავალა, შემოიყვანეთ „მეტრაკეო“ და ეგრევე მომვარდა 2 ბიჭი და შარვალი ჩამხადეს.

– ეს მეგის ქარდავას კაბინეტში ხდებოდა?

– დიახ და თვითონაც იქ იყო. შარვალი ჩამხადეს და გადამაწვინეს მაგიდაზე. მაშინ ძალიან შემეშინდა. ვიფიქრე, ესენი არანორმალურები არიან და მართლა გაკეთებენ-მეთქი და ვუთხარი ქარდავას, ეს არ გამიკეთოთ და რაც გინდათ ყველაფერზე ხელს მოვაწერ-მეთქი. ამით დამითანხმეს აღიარებაზე.

იცით, როცა ხელი მოვაწერე ბრალდებას და ვაღიარე, რომ თურმე ჯაშუში ვიყავი, მითხრეს, რომ უნდა მეთქვა, ვინ გადამიბირა. მითხრეს ივანოვი არ თქვა, სხვა გვარი მოიფიქრეო. მეც ავდექი და ჩავაწერინე, რომ კონსტანტინე ჟუკოვმა გადამიბირა-მეთქი. ეს პიროვნება 1945 წელს ომის გმირი იყო. 50 წლის გარდაცვლილია, აქედან ჩანდა, რა სამხედროები და მცოდნეები იყვნენ.

– როდის გახდა თქვენთვის ცნობილი, რომ სერგო თეთრაძე დაკავებული იყო?

– ბატონი სერგოს გარდა, დააკავეს გია გორელაშვილი და სერგეი ჩაპლინგი. სერგოს ნომერი მე მქონდა ტელეფონში, მაგრამ გორელაშვილი საიდან მოხვდა, არ ვიცი. გია გორელაშვილს არ ვიცნობდი. 2013 წლის 13 იანვარს გავიცანი, როდესაც ციხიდან ამნისტიის საფუძველზე გამოგვიშვეს. აი, მაშინ გავიცანით ერთმანეთი.

რაც შეეხება ბატონ სერგოს, მათ არ უთქვამთ, რომ დაკავებული იყო. როცა მე ვაღიარე, მერე თქვეს, რომ ვინმე მაღალჩინოსანი ჩავრთოთო. ალტერნატივა იყო გენერალი დავით ნაირაშვილი და ვიცე-პოლკოვნიკი, მაგრამ მერე პოლკოვნიკი აირჩიეს. ქარდავას ვუთხარი, რომ არ ვიცნობ ამ ნაირაშვილს, თეთრაძესთან ვმსახურობდი-მეთქი. მაშინ თქვა ქარდავამ, ძალიან კარგიო.

– გამოძიებამ თქვენ და თეთრაძე ერთმანეთს არ დაგაპირისპირეს?

– არა. სერგო თეთრაძე ვნახე მაშინ, როცა წინასწარი პატიმრობა მოგვისაჯეს. თავის აწევის უფლება არა გვქონდა, დალაპარაკებაზე ხომ ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია. უბრალოდ, ცალი თვალით შევხედე და დავინახე, რომ ძალიან მაგრად იყო ნაცემი. ტონალური კრემი ჰქონდა წასმული, რომ კვალი დაემალათ, მაგრამ ისე იყო ნაცემი, რომ ტონალურიც ვერ მალავდა.

– სერგო თეთრაძე მართლა გულის შეტევით დაიღუპა?

– რას ამბობთ, ეს მეორედ არც გაიმეოროთ. ციხეში უკვე ვიცოდით, რომ მოკლეს და რა და როგორ მოხდა. ის სასტიკი ძალადობის მსხვერპლი გახდა.

– ვინ მონაწილეობდა მის წამებაში?

– არ ვიცი, მაგრამ გორელაშვილმა გაიგონა, ვინ აწამებდა და რა დღეში იყო ბატონი სერგო. მას უთხრეს, შენი „პადელნიკიაო“.

– ბატონო დავით, თქვენ მზად ხართ, სასამართლოზე დაუპირისპირდეთ ბაჩო ახალაიას?

– რა თქმა უნდა. არავის არაფერს ვაპატიებ. ჩემი მცირეწლოვანი შვლების თვალწინ შემოცვივდნენ სახლში, არ ვიცი, რას ეძებდნენ. ამას ვაპატიებ ახლაიას და ქარდავას? ეს გამორიცხულია. ქარდავას და ახალაიას ცემის კვალი დღესაც მეტყობა, ცემისგან თავის ტრავმა მივიღე და ყავარჯნებით ამიტომ დავდივარ. წაქცეულ ადამიანს წიხლებს რომ ურტყამ თავში, ეს რა ქართველობაა, ამიხსენით? მაგრამ ესენი ქართველები არ არიან...

თამთა ქარჩავა

◎ ალიან-ჩალიანი

იშხანზე სამუშაოები თურქულმა კომპანიამ, შესაძლოა, აგვისტოში დაასრულოს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის აკადემიური პროგრამების მენეჯერმა ლევან წიქარიშვილმა განუცხადა, იშხანში ტურები ყოველ კვირას ჩაყავს და იქ მიმდინარე სამუშაო პროცესებს თვალს ადევნებს. წიქარიშვილი აცხადებს, რომ ქართველი სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე იშხანზე აღდგენითი სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და ყველაფერი საკმაოდ უსწრაფად სრულდება. კვირიდან კვირამდე ტაძარზე განხორციელებული ცვლილებების დაფიქსირება მან მხოლოდ შორიდან შეძლო, რადგან ტაძარი შემოფარგლულია და ეზოს ტერიტორიაზე შესვლის უფლება ტურისტებს არ აქვს.

მისივე თქმით, სამშენებლო სამუშაოების ტემპები იმდენად სწრაფია, რომ გურგენისეული მცირე ეკლესიის ორი კედელი უკვე აშენებულია. წიქარიშვილმა ადგილობრივი მოსახლეობისგან იცის, რომ, შესაძლოა, სამუშაოები რეკომენდირებული 400 დღის ნაცვლად აგვისტოში დასრულდეს.

წიქარიშვილი აცხადებს, რომ თურქულ სამშენებლო კომპანიას ქრისტიანულ ძეგლებზე მუშაობის გამოცდილება არ აქვს. მისივე თქმით, საქართველოს კულტურის სამინისტრომ აღნიშნულ კომპანიას გადაუგზავნა რეკომენდაციები, თუმცა, ჩანს, რომ საქმე არაკოორდინირებულ მუშაობასთან გვაქვს.

მედიის წარმომადგენლებმა თურქეთის ელჩს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გავრცელებული ფოტო აჩვენეს, სადაც იშხნის ერთ-ერთ კედელზე მიმდინარე კედლის მოპირკეთების სამუშაოებია ასახული. თურქეთის ელჩს განემარტა, რომ სამუშაოები ძეგლთა დაცვის მეთოდოლოგიის დარღვევით მიმდინარეობს. თურქეთის ელჩმა აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის უწყებებს შორის საერთო კულტურის ძეგლების აღდგენასთან დაკავშირებთ იურიდიული საფუძველი არ არსებობს, ყოველივე ორი მხარის კეთილი ნების საფუძველზე ხორციელდება.

მურათ ბურჰანი მიიჩნევს, რომ ისტორიულად ქართული კულტურის ძეგლები თურქეთში, მათი კულტურის საკუთრებაცაა და თუ როგორ აღდგება ისინი დიდი მნიშვნელობა აქვს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ





ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ უმაღლეს საბჭოში თავის დროზე შემუშავდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე შემაჯამებელი კაპიტალური ნაშრომის შექმნას, მის გამოცემას სამ ენაზე (ქართულ, ინგლისურ, რუსულ) და საზღვარგარეთის ქვეყნების გავრცელებას. პროექტის ინიციატორის და ხელმძვანელის, უმაღლესი საბჭოს წევრის პროფესორ **ჯემალ გამახარიას** თანაავტორობითა და რედაქტორობით სამივე ენაზე უკვე გამოცემულია საკმაოდ სქელტანიანი კოლექტიური მონოგრაფია **„ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე“.** მის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს აწ გარდაცვლილმა პროფესორმა **თამაზ ბერაძემ,** პროფესორებმა **ლია ახალაძემ, მალხაზ ბარამიძემ, სალომე ბახია-ორუაშვილმა, ლია ბითაძემ, მერაბ გეჯუამ, ირაკლი გელენავამ, თეიმურაზ გვანცელაძემ, ბადრი გოგიამ, გურანდა ფხაკაძემ, რეზო ხვისტანმა, ბეჟან ხორავამ და დაზმირ ჯოჯუამ.**

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ავტორთა კოლექტივს კარგად გაუცნობიერებია მსგავსი ნაშრომის დიდი მნიშვნელობა ოკუპანტი ქვეყნისა და სეპარატისტების მიერ საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებული მასშტაბური იდეოლოგიური ბრძოლის მოსაგერიებლად. ამ ბრძოლისადმი მოწინააღმდეგის დამოკიდებულება იმდენად სერიოზულია, ყურადღება იმდენად დიდია, რომ მასში არაერთხელ უშუალოდ ჩართულან (განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ) თვით ვ. პუტინი, დ. მედვედევი და ს. ლავროვი. ყველას კარგად გვახსოვს საქართველოს ორი რეგიონის აღიარების „გამართლების“ მიზნით კრემლის მესვეურები ჟურნალისტებისა და სხვადასხვა უცხოელი დელეგაციების წინაშე თავს როგორ იწონებდნენ აფხაზეთ-სამაჩაბლოს ისტორიის „ცოდნით“, როგორ უმტკიცებდნენ მსოფლიოს, რომ 2008 წლის 26 აგვისტოს უკანონო აქტი ვითომ წარმოადგენდა ისტორიული „სამართლიანობის აღდგენას(???!)“. კრემლის გავლენით, შესაძლოა, დაკვეთითა და დაფინანსებით თვით ნატოსა და ევროკავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანაშიც კი იწერება ანტიქართული შრომები, კეთდება ფილმები, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი აზრის შემზადება საქართველოს კონფლიქტური რეგიონების აღიარებისთვის. ჩვენი ქვეყნისადმი ამ აშკარად მტრულ საქმიანობაში ჩართულია არაერთი უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციაც, რომელთა ხელმძღვანელები არც თუ ისე იშვიათად სტუმრობენ თბილისსა და სოხუმს. პროფესორი ჯემალ გამახარია მათ რიცხვს მიაკუთვნებს, მაგალითად, ჩეხურ არასამთავრობო ორგანიზაციას რომელიც კეთილშობილურ მიზნებსაა ამოფარებული, მაგრამ ჩეხეთში და საქართველოშიც კი აფხაზეთის აღიარების პროპაგანდას ეწევა. მსგავსი ორგანიზაციები ევროპის სხვა ქვეყნებშიც მოქმედებენ.

მონოგრაფიის „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე“ რუსული და განსაკუთრებით ინგლისური ვარიანტები სწორედ საქრთველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ საერთაშორისო არენაზე წარმოებული იდეოლოგიური დივერსიების განეიტრალებას ემსახურება, თვალის ერთი გადავლებითაც მკითხველი შენიშნავს, რომ ავტორები უზარმაზარ და მრავალფეროვან ისტორიულ წყაროებს, ადრე შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურას ეყრდნობიან. ამის წყალობით **მოხერხდა აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიული ეთნოპოლიტიკური ისტორიის საფუძვლიანი გაშუქება, შოვინისტური და სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ძირითადი დასკვნების დასაბუთებულად უარყოფა.**

მონოგრაფიის ერთ-ერთი თავისებურება და უმთავრესი ღირსება ის არის, რომ იგი კომპლექსური ხასიათის გამოკვლევაა. **წიგნში შეჯამებული და განზოგადოებულია უკანასკნელი სამეცნიერო მიღწევები ისტორიოგრაფიაში, არქეოლოგიაში, ისტორიულ გეოგრაფიაში, საეკლესიო ხუროთმოძღვრების ისტორიაში, ანთროპოლოგიაში, ლინგვისტიკაში, ეთნოლოგიასა და დემოგრაფიაში. ავტორები აღნიშნავენ, რომ ნაშრომს არანაირი კავშირი არა აქვს აფხაზეთთან მიმართებაში პოლიტიკის შემუშავებასთან და განხორციელებასთან, ავტონომიური რესპუბლიკის მომავლის განსაზღვრასთან. „ამ ნაშრომის მიზანია მხოლოდ ისტორიული სიმართლის აღდგენა“,** — ვკითხულობთ წიგნში. ჩვენის მხრიდან დავსძენთ, რომ მიზანი ნამდვილად მიღწეულია.

თავისი სტრუქტურით, შინაარსითა და მოცულობით მონოგრაფია უპირატესად აკადემიური, საუნივერსიტეტო, ანალიტიკური წრეებისთვის არის განკუთვნილი. ამიტომ აფხაზეთის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის პოლიტიკოსებისთვის, დიპლომატებისთვის, საზოგადო მოღვაწეებისა და ზოგადად დაინტერესებული ფართო მკითხველისთვის კომპაქტურად მიწოდების მიზნით, პროფესორმა ჯემალ გამახარიამ სპეციალურად მოამზადა და ცალკე სამენოვანი (ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე) ბროშურის სახით, გამოსცა ნაშრომი **„აფხაზეთის/საქართველო პოლიტიკური ისტორია (მოკლე სამეცნიერო ცნობა)“.** ამ არც თუ ისე მოკლე, სამ ენაზე შედგენილ თითქმის 150-გვერდიან ცნობაში, რომელიც ასევე მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან დღემდე, ყურადღება საკვანძო და ამასთანავე სადავო, მოწინააღმდეგეთა მხრიდან უხეში ფალსიფიკაციის საგნად ქცეულ თემებზე, აგრეთვე თანამედროვე ეტაპზე არსებულ მწვავე პოლიტიკურ თუ ჰუმანიტარულ პრობლემებზეა გამახვილებული.

ერთია მოამზადო და გამოსცე ესოდენ საჭირო შრომები, მაგრამ ფუჭია მათი ფასი სათანადო მკითხველამდე მიტანის გარეშე. ბ-ნ ჯემალ გამახარიას ცნობით, **მონოგრაფიის ქართული ვარიანტი უსასყიდლოდ გავრცელდა ძირითადად საქართველოში, მათ შორის ოკუპირებულ აფხაზეთში. რუსული ვარიანტი საქართველოს (აფხაზეთის ჩათვლით) გარდა ასევე უსასყიდლოდ გავრცელდა რუსეთსა და ყოფილ სსრ კავშირის ქვეყნებში, დასავლეთ ევროპაში და ა. შ. ბევრად უფრო ფართო არეალი მოიცვა ინგლისურენოვანმა მონოგრაფიამ და მოკლე სამეცნიერო ცნობამ აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის შესახებ.** სახელმწიფო სტრუქტურების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების, იქ მოსწავლე ქართველი სტუდენტებისა და სხვათა მეშვეობით **იგი საჩუქრად გადაეცა ევროპისა და ამერიკის ორ ასეულზე მეტ უნივერსიტეტს, ბიბლიოთეკას, სხვადასხვა აკადემიურ დაწესებულებას, კვლევით ცენტრებს, აგრეთვე მრავალ დიპლომატს, საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერს და ა. შ. ეს პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება.**

საქართველოს, განსაკუთრებით მისი კონფლიქტური რეგიონების შესახებ ინგლისურენოვანი შრომების შექმნისა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მათი გავრცელების აუცილებლობის თაობაზე ცნობილმა ახალგაზრდა მეცნიერმა, თსუ-ს პროფესორმა ნიკო ჯავახიშვილმა ჩვენთან საუბარში ბრძანა: „ევროპის ცალკეულ ქვეყნებში სამეცნიერო მივლინებებით ყოფნის პერიოდში ჩემთვის მრავალჯერ უთქვამთ უცხოელ მეცნიერებს, რომ მათთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, გაეცნონ ქართველი მკვლევრების ნაშრომებს აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის შესახებ. უცხოელმა კოლეგებმა მთხოვეს, მივაწოდო მათ ინგლისურ ენაზე შექმნილი შრომები აღნიშნულ თემაზე, რადგანაც ქართულენოვან წიგნებს ისინი ვერ იყენებენ. ზემოთქმულის გათვალისწინებით, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება პროფესორ ჯემალ გამახარიას მიერ გამოცემულ ბრწყინვალე ნაშრომს აფხაზეთის შესახებ, რომელიც ინგლისურად გამოვიდა. ამ ნაშრომის ჩემი ეგზემპლარი პოლონეთში, ქ. გდანსკის უნივერსიტეტში წავიღე, სადაც ა. წ. მაისში ისტორიკოსთა საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა. წიგნმა იმდენად დიდი დაინტერესება გამოიწვია, რომ იძულებული გავხდი, იქვე დამეტოვებინა, რისთვისაც მასპინძელთა გულწრფელი მადლობა დავიმსახურე. საქართველოს ისტორიის საკითხებზე ინგლისურ და სხვა საერთაშორისო ენებზე გამოცემულ ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომები უდავოდ ხელს შეუწყობს ჩვენთვის აქტუალური პრობლემების საერთაშორისო ასპარეზზე სწორი ინტერპრეტაციის წარმოჩენას“.

ძნელია ბ-ნ ნიკოს არ დავეთანხმოთ. ქვეყნის უზენაესი ინტერესებიდან გამომდინარე, კოლექტიური მონოგრაფიის „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე“ და აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის შესახებ მოკლე სამეცნიერო ცნობის გავრცელებაში, ვისაც ეს ხელგვეწიფება, ყველამ უნდა შევიტანოთ ჩვენ-ჩვენი წვლილი. ამისთვის კი საჭიროა, მივაკითხოთ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს, სადაც თქვენ უფასოდ გადმოგეცემათ ზემოთ ხსენებული ინგლისურენოვანი მონოგრაფია და სამ ენაზე შედგენილი ბროშურა „აფხაზეთის/საქართველო პოლიტიკური ისტორია (მოკლე სამეცნიერო ცნობა)“, რათა ეს წიგნები თქვენივე სახელით შესაბამის უნივერსიტეტებს, კვლევით ცენტრებს, ბიბლიოთეკებს თუ ცალკეულ დაინტერესებულ პირებს აჩუქოთ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ

◎ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

„ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲐ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ“ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ, მით უმეტეს უფროსი თაობის თეატრის მოყვარულთ კარგად ახსოვთ ის დრო, როცა მარტო თბილისში კი არა, სრულიად საქართველოშიც კი თითზე ჩამოსათვლელი თეატრები იყო.

დედაქალაქში, ეს, უწინარესად, ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის, მარჯანიშვილისა და გრიბოედოვის სახელობის, მუსკომედიის, მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული, ასევე სომხური და აზერბაიჯანული თეატრები იყო. თეატრები მრავლად არც საქართველოს სხვადასხვა მხარეს იყო, თუმცა კი შემდგომ ბევრმა მათგანმა საქვეყნო აღიარება მოიპოვა, მაგალითად, სოხუმის, თელავის, რუსთავისა და ქუთაისის, სხვა თეატრებმა. მერე და მერე თეატრების რიცხვმაც იმატა, თეატრალური ფესტივალების გამართვაც დაიწყო, ახალგაზრდა შევსება მოუვიდა ჩვენს სახელოვან თეატრალურ დასებს.

აი, ახლაც, ჩანს, დრომ მოითხოვა და თბილისში კიდევ ერთი ახალი თეატრალური სცენის დაბადებას ზეიმობს საზოგადოება, ამ მართლაც უკვდავი ხელოვნების ყველა ჭეშმარიტი ტრფიალი. მისი წარმოშობა, როგორც ჩანს, დრამატურგიული აზრისა და რეჟისორული ჩანაფიქრის ახლებურ, მანამდე აუთვისებელ სივრცეში განხორციელების აუცილებლობამ განაპირობა.

მარჯანიშვილის თეატრს კიდევ ერთი, „ახალი სცენა“ შეემატა, სადაც დადგმული სპექტაკლები თეატრალური ატრიბუტიკისგან (ფარდისგან, დეკორაციებისგან, ასევე მაყურებელთა პარტერისა და ლოჟებისგან) გათავისუფლებული იქნება და ყოველგვარი „თეატრალურობის“ გარეშე წარსდგება მაყურებლის წინაშე. ასეთ, დიდი ინგლისელი თეატრალური რეჟისორის პიტერ ბრუკის განმარტებით, „ცარიელა სივრცეში“ წარმოდგენას როგორც თავად მსახიობები, ასევე მის სანახავად მისული მაყურებელიც სრულიად სხვაგვარად, ტრადიციულისგან განსხვავებულად აღიქვამს.

იმასაც ვიტყვით, რომ „ახალი სცენა“ მარჯანიშვილის ქუჩის №5-ში, ზუსტად „დედა-თეატრის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს, დარბაზის ტერასული რიგები 128 კაცს იტევს, ყველა ბილეთს ერთი ფასი აქვს — 14 ლარი, ხოლო მის ადგილსამყოფელს თბილისელებიც, დედაქალაქის სტუმრებიც, იმედია, მალევე კარგად გაიცნობენ.

ᲜᲘᲜᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲒᲝ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართული პროდუქცია კვლავ ბრუნდება რუსეთში

შვიდწლიანი პაუზის შემდეგ ქართული ღვინო და კონიაკი კვლავ გადის რუსეთის ბაზარზე. ქართული პროდუქციის პირველი პარტიები, როგორც ელოდებიან, გაჩნდება რუსეთის დახლებზე დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ.

„ყველა ძირითადი საკითხი ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ: როგორც ცალკეული პროდუქტების სახელმწიფო რეგისტრაციის, ისე სააქციზო მარკების საკითხებიც უკვე განსაზღვრულია. ქართველმა მწარმოებლებმა უკვე მიიღეს სააქციზო მარკები, ასე რომ, მზა პროდუქცია, ვფიქრობ, შეიძლება გაჩნდეს რუსეთში დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა.

პირველები, ვისი ღვინო და კონიაკიც გაჩნდება რუსეთის დახლებზე, იქნებიან კომპანიები „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა“, „დუგლაძის ღვინის კომპანია“ და „ალავერდი“, — ამბობს დავითაშვილი.

„არის კიდევ რამდენიმე კომპანია, რომლებმაც უკვე აიღეს აქციზური მარკები რუსეთში, და მათი გაგზავნა შეიძლება ორ-სამ დღეშიც მოხდეს. მაგრამ აქციზური მარკების გაცემა უკვე დაიწყეს — ესაა მთავარი“, — ამბობს იგი.

უფრო ადრე რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ხელმძღვანელმა, რუსეთის მთავარმა სახელმწიფო სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ „ინტერფაქსს“ განუცხადა, რომ ქართული ღვინის რუსეთის ბაზარზე დაბრუნებისთვის ბარიერები არ არსებობს.

„ყველაფერი, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, უკვე გავაკეთეთ. იმ მეწარმეებისთვის, ვისაც ჩვენ მივეცით ნებართვა, ვერანაირ სუბსტანციურ დაბრკოლებას ვერ ვხედავ რუსეთის ბაზარზე მიწოდებათა დაწყებისთვის“, — განაცხადა ონიშჩენკომ.

რუსეთმა ემბარგო ქართულ ღვინოზე დაწესა 2006 წელს. ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე შეტანის აკრძალვის ოფიციალურ მიზეზად დასახელებული იყო პროდუქტის ხარისხი.

მაგრამ გართულებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფონზე ბევრმა რუსულ აკრძალვაში პოლიტიკური შემადგენელი ნაწილი დაინახა.

რუსეთში დაბრუნება

პირველი პარტია, რომელიც კომპანია „კახეთის ტრადიციული მეღვინეობის“ 21600 ბოთლ კონიაკს ითვლის, რუსეთში გასაგზავნად უკვე დატვირთულია.

ჩვენთან პროდუქცია უკვე ჩამოსხმულია, მანქანა დატვირთული. დღეს ჩვენ ასევე ვღებულობთ აქციზურ მარკებს ქართულ ღვინოზეც“, — გვიამბობს კომპანიის დამფუძნებელი ზურაბ ჩხაიძე.

მისი სიტყვებით, კომპანიის პროდუქცია წარმატებით იყიდება ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, რომელთა შორისაც არიან უკრაინა, ყაზახეთი და ბელარუსი. დიდია მოლოდინი რუსული ბაზრისგანაც.

„ამ თვეში ჩვენთან დაგეგმილია 130-150 ათასი ბოთლი კონიაკის „ძველი კახეთის“ გაგზავნა, აგრეთვე ღვინოებისაც. ეს ბაზარი ჩვენ გვაინტერესებს იმ თვალსაზრისით, რომ არის ხალხი, ვისაც ახსოვს ქართული ღვინისა და კონიაკის გემო“, — ამბობს ჩხაიძე.

რუსეთში უახლოესი ორი დღის განმავლობაში გასაგზავნად უკვე მზად არის 120 ათასი ბოთლი ღვინო „დუგლაძის ღვინის კომპანია“.

„ჯერჯერობით მხოლოდ ღვინო. იმ კვირაში უკვე დაემატება კონიაკიც, შემდეგ კიდევ შუშხუნა ღვინოც“, — ამბობს კომპანიის გენერალური დირექტორი ზაზა დუგლაძე.

მისი სიტყვებით, მარტო ამ თვეში კომპანია აპირებს ნახევარი მილიონი ბოთლი ღვინისა და კონიაკის ექსპორტირებას რუსეთში.

მოლოდინი

ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე დაბრუნება იყო ამჟამინდელი მთავრობის ერთ-ერთი დაპირება.

მთლიანად, დაახლოებით 80 კომპანიამ გამოთქვა სურვილი, მოახდინოს ალკოჰოლური პროდუქციისა და ღვინის ექსპორტირება რუსეთში, — ამბობს დავითაშვილი.

მაგრამ, როგორც ექსპერტები, ისე მეღვინეები მიიჩნევენ, რომ ღვინის რუსეთში ექსპორტის მოცულობები და წილი უფრო დაბალი იქნება, ვიდრე ეს იყო რუსეთის მიერ ქართულ პროდუქციაზე აკრძალვის შემოღებამდე 2006 წელს.

მიუხედავად ამისა, დავითაშვილის სიტყვებით, რუსეთის ბაზრის გახსნასთან ერთად მოსალოდნელია საქართველოს ღვინის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდაც.

„ჩვენთან ზრდა შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით დაახლოებით 40-45 პროცენტს შეადგენს. ეს რუსეთის გამოკლებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად გვიჩნდება დამატებითი მეტად საინტერესო ბაზარი, ვფიქრობ, ზრდა იქნება მეტად სერიოზული“, — ამბობს იგი.

BBC RUSSIAN.com

რუსები „სასაზღვრო“ პრობლემებს ოსებსაც უქმნიან

კონფლიქტის ზონაში რუსი მესაზღვრეები პრობლემებს არა მარტო ქართველებს, არამედ ეთნიკურ ოსებსაც უქმნიან. გუშინ სოფელ ავნევის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსებმა მამა-შვილი ზვიად და ვახტანგ ჟღენტები დააკავეს. მათი აყვანა ეგრეთ წოდებული საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით მაშინ მოხდა, როდესაც ისინი სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მსხვილფეხა პირუტყვს მწყემსავდნენ. საქმეში სწრაფად ჩაერთვნენ ადგილობრივი პოლიციელები და ევროკავშირის მეთვალყურეები. 15 წლის ვახტანგ ჟღენტი მალე გაათავისუფლეს, მამამისი კი ცხინვალში გადაიყვანეს. მოზარდი ჰყვება, რომ სოფლის ტერიტორია არ დაუტოვებიათ და, პირიქით, რუსები შემოვიდნენ მათ სოფელში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ცხინვალის ციხეში მყოფი ქართველების გასათავისუფლებლად ამჟამად ოსურ მხარესთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ეგრეთ წოდებულ სასაზღვრო პრობლემებს რუსი მესაზღვრეები არა მარტო ქართული სოფლების მცხოვრებლებს, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ სოფლებში მცხოვრებ ეთნიკურ ოსებსაც უქმნიან. მაგალითად, ცხინვალელმა სამოქალაქო აქტივისტმა თემურ ცხურბათიმ ჩვენს რადიოს სოფელ ოტრევის ისტორია უამბო. ამ სოფელში სულ 16 ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ ომის დროს იქ მცხოვრებმა ოსებმა სახლები მიატოვეს და ცხინვალში გადავიდნენ, ომის შემდეგ სოფელში დაბრუნებულებს კი 8 სახლი რუსების მიერ გავლებული მავთულხლართების მიღმა დახვდათ. ოტრეველი ალბერტ კაზიევი საკუთარ სახლში ვერ შედის, რადგან, ეგრეთ წოდებული ახალი საზღვრის მიხედვით, მისი სახლი მეზობელი ქართული სოფლის ტერიტორიაზე დატოვეს. ალბერტი ამჟამად ცხინვალის ლიცეუმის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს და ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს, მაგრამ მისი პრობლემის მოგვარებას ვერავინ ახერხებს. თემურ ცხურბათი აცხადებს, რომ ხელისუფლებას ეს პრობლემა ალტერნატიული საცხოვრებლით ან კომპენსაციით უნდა გადაეწყვიტა.

რუსების მიერ ეგრეთ წოდებული საზღვრების დადგენა გამყოფი ხაზის ორივე მხარეს იწვევს უკმაყოფილებას. ცოტა ხნის წინათ დიდი ხმაური მოჰყვა მავთულხლართების გაბმას დვანსა და დიცში, სადაც ქართული სოფლების მიწის გარკვეული ნაწილი საოკუპაციო ხაზის მიღმა აღმოჩნდა, ახლა კი ოსები გამოთქვამენ პრეტენზიას იმის გამო, რომ მათი სახლები მათი საკუთრება აღარ არის. რადიო „ეხო კავკაზისთან“ საუბარში დე ფაქტო რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო სამსახურის უფროსი სერგეი კოლბინი ამბობს, რომ მესაზღვრეები საბჭოთა პერიოდის რუკებით ხელმძღვანელობენ და არ აპირებენ რაიმე გამონაკლისის დაშვებას. მისი აზრით, დემარკაციის პროცესში ქართული მხარე მონაწილეობას რომ იღებდეს, მაშინ სადავო საკითხების მოგვარებაც მოლაპარაკების გზით იქნებოდა შესაძლებელი.

ქართული მხარის პოზიცია დიდი ხანია, ცნობილია: საქართველო-რუსეთის საზღვარი კავკასიონის ქედზე გადის. საქართველოს ხელისუფლება რუსების მიერ გავლებულ ახალ საზღვრებს არ ცნობს და, შესაბამისად, ამ საკითხს მოლაპარაკების საგნად არ გახდის.

გოგა აფციაური.
რადიო „თავისუფლება“

◎ ინტერნეტიდან

რუსებმა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის ამკრძალავი კანონი მიიღეს

BBC-ის ინფორმაციით, **რუსეთის დუმამ მიიღო კანონი, რომელიც ყველა ადამიანს ჯარიმას დააკისრებს, ვინც 18 წლამდე ასაკის ბავშვებში ჰომოსექსუალიზმის შემცველ ინფორმაციას გაავრცელებს.**

კანონი ძალაში პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის დამოწმების შემდეგ შევა. პარლამენტის გარეთ გეების უფლებების დამცველთა და ანტიგეების აქტივისტებს შორის შეტაკება მოხდა. დუმამ ასევე მიიღო კანონი, რომელიც მორწმუნეების შეურაცხყოფისთვის სამწლიან პატიმრობას ითვალისწინებს.

კანონი პანკ ჯგუფის Pussy Riot-ის წევრების დაპატიმრების შემდეგ მიიღეს, ჯგუფი მართლმადიდებელ ტაძარში 2012 წლის თებერვალში პუტინის წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციას აწყობდა. ბენდის წევრები ნადეჟდა ტოლოკონიკოვა და მარია ალიოხინა ამჟამად ორწლიან სასჯელს იხდიან.

აი, ამონარიდები ინტერნეტიდან:

„იქნებ ჩვენმა პარლამენტმაც მიბაძოს.... რას იტყვით, ბატონო უსუფაშვილო, რუსებს, ჩვენზე ნაკლებად უყვართ თავიანთი ქვეყანა?... თუ ბოკერიას სულიერი ძმა არ ხართ და რესპუბლიკელები ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან გარიგებული არ ხართ, შემოიტანეთ პარლამენტში მსგავსი წინადადება“.

„მერე რას იტყვის ევროპა, ამერიკა?! გიფიქრია შენ ამაზე? ხომ დაიღუპებიან ნაციებიცა და გნაციებიც (რესპები)... რუსეთი დამოუკიდებელი ქვეყანაა, ჩვენ“?!

„პარიზში ცხვირ-პირი დაუმტვრიეს პედერასტებს, ერთმა კათოლიკე მღვდელმა პროტესტის ნიშნად თავი მოიკლა.. ევროპა თვითონაა განსაცდელში და შველას ითხოვს, ფრანგები დიდი საპროტესტო გამოსვლებისთვის ემზადებიან და გადაიყოლებენ კიდეც ამ ხელისუფლებას.“.

„ჩვენც ეგრე მოგვიწევს ამ ხელისუფლებისა და იმ ხელისუფლების კოჰაბიტობანას მოცილება“

„ივანიშვილზე, არ მაქვს მორალური უფლება, ძვირი ვთქვა, მარტოკაცმა დაამარცხა ეს უჯიშოები... პარლამენტს კი, ალბათ, მალე მოუწევს გაყრა და ამას ისევ ივანიშვილი გააკეთებს, თან რამდენიმე მინისტრსაც მიაყოლებს, დამიჯერე, ასე იქნება ეს“...

„ვნახოთ. გარემოცვა არ უვარგა“.

„გეთანხმები, გამსახურდიასაც იგივე პრობლემა ჰქონდა... მაგრამ ერთი დიდი განსხვავებაა მათ შორის, ის, რაზეც მე და შენ ვლაპარაკობთ, ორივეზე კარგად, მან იცის“....

„გეთანხმები, რაც მალე, მით უკეთესი.“

„ სწორედ მაგ გვერდში მდგომებზე მოგახსენებდი, რა, გვერდში დასაყენებელი ხალხის დეფიციტია“?!...

„ამ შემთხვევაში რუსებს მივბაძოთ“...

ნატა ნიგლაძე

დედამიწის ზურგზე

ზარალმა წყალდიდობისგან გერმანიაში შეიძლება 12 მილიარდამდე ევრო შეადგინოს

სპეციალისტების გაანგარიშებით, ამ თანხიდან ორნახევრიდან სამ მილიარდამდე უნდა გადაიხადონ სადაზღვევო კომპანიებმა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა ფილიპ რესლერმა განაცხადა, რომ დაზარალებულებზე გაიცემა ერთდროული კომპენსაცია წყალდიდობის მსხვერპლთათვის დახმარების სპეციალური ფონდიდან.

* * *

თეთრმა სახლმა არ მიაძცია ყურადღება პუტინის განცხადებას ირანთან დაკავშირებით

ტელეარხ „რუსია ტუდეის“ სტუდიაში შესვედრაზე რუსეთის პრეზიდენტმა მიუთითა, რომ მას არ გააჩნია ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ ირანი იცავს წესებს ბირთვული ტექნოლოგიების განვითარების სფეროში. როდესაც ეს სიტყვები აცნობეს თეთრი სახლის პრესმდივანს, მან პასუხად განაცხადა: „ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა“.

* * *

რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა ფინეთის საჰაერო სივრცე დაარღვიეს

ინციდენტი მოხდა „11 ივნისს დილით ფინეთის ყურის რაიონში“, მიუთითა ფინეთის თავდაცვის სამინისტრომ. განგაშის ხმაზე ჰაერში აიჭრა ფინეთის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებლები. სასაზღვრო დაცვას უბრძანეს, გაერკვნენ ვითარებაში და აცნობონ მისი შედეგები.

* * *

გარდაიცვალა პლანეტაზე ყველაზე ხანდაზმული მამაკაცი, იაპონელი ძიროემონ კიმურა

კიმურა შარშან წლის ბოლოს ცუდად შეიქმნა და ორჯერ აღმოჩნდა საავადმყოფოში. 19 აპრილს მას 116 წელი შეუსრულდა. იაპონელი ცხოვრობდა ქალაქ კიოტანგოში (კიოტოს პრეფექტურა). მას დარჩა 7 შვილი, 14 შვილიშვილი, 26 შვილთაშვილი და 13 შვილთაშვილისშვილი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ეს სიმღერები მაღალ მთებს ჰგვანან...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებელი ვანო ჩხარტიშვილი

ქართული სიმღერა და გალობა უხსოვარი დროიდან შეერწყა ერთმანეთს.

სიმღერა და გალობა ქართული სიტყვის (პირველითგან იყო სიტყვა!) სულის ჩუქურთმაა, ქართველი კაცის სულის პოეზიაა.

სიმღერა და გალობა მზისა და ვაზის ენერგიით გვავსებს;

სიმღერა და გალობა წუთისოფელს გვილამაზებს, სამყაროს გვაყვარებს, უფალთან გვაახლოებს და სულეთისკენ მიმავალ გზას გვიადვილებს.

ქართული სიმღერა-საგალობლის მოსმენისას გვემატება ენერგია, გამმედაობა, სამშობლოს სიყვარულის რწმენა.

ხალხური სიმღერა-საგალობლის გარეშე ვერც მამული გვექნებოდა ასე „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“, ვერც დედაენა – ყოვლის გამომხატველი, ვეღარც ჩვენი რწმენა-რელიგია – მაცხოვრის ლამაზად მადიდებელი...

ამიტომაც ბრძანებს პატრიარქი: **„ქართული სულის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამოხატულებაა ჩვენი სიმღერა და საგალობელი, გამორჩეული თავისი საოცარი მრავალფეროვნებითა და ამავე დროს სულიერი ერთიანობით... ღვთის წყალობით, საქართველო აუცილებლად გადარჩება და მას ქართული სიმღერა, ქართული კულტურა გადაარჩენს“...**

ეს სიტყვები ჩვენი ერის სულიერმა მოძღვარმა 11 ივნისს რუსთაველის თეატრში მისივე ლოცვა-კურთხევით შექმნილი **„ქართული გალობის“** ფონდის დაფუძნებისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალის ბოლოს წარმოსთქვა და ფონდის სულისჩამდგმელ-დამფუძნებელი ვანო ჩხარტიშვილი დალოცა. პატრიარქმა წმინდა გიორგის ხატი გადასცა ქველმოქმედს, რომელიც საგანგებოდ ამ დღისთვის დაიწერა.

მღერის სამების ტაძრის საპატრიარქო გუნდი

2001 წლის 18 მაისს იუნესკომ ქართული ხალხური სიმღერა კაცობრიობის ზეპირსიტყვიერებისა და ხელთუქმნელი საგანძურის შედევრად აღიარა.

ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი თითქმის 10 წელიწადია ამ ეროვნული, საშვილიშვილო საქმის მოგვარებით არის დაკავებული. ჯერ კიდევ 2004 წელს მისი თაოსნობით გურიაში გაიმართა ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებელთა ფესტივალი დევიზით – **„ჩვენ – მშვიდობა!?“** ეს იყო თბილისში ჩატარებული ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის დასკვნითი ნაწილი. მაშინ ვანო ჩხარტიშვილმა ოზურგეთში დააარსა სასიმღერო-სამგალობლო სკოლა, დაბეჭდა გურული სიმღერების კორიფეებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები, კომპაქტ-დისკები. 2006 წელს მისივე მონდომებით დაფუძნდა საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი. ახალი სკოლა გაიხსნა სტეფანწმინდაში, ტიხრული მინანქრის სახელოსნო – სნოში, სამრეკლო სკოლა – ლონდონში, ახალი ტაძარი წამოიმართა ოზურგეთის ცენტრში, დაფინანსდა მრავალი კონცერტი და ფესტივალი.

ახალი ფონდი „ქართული გალობა“ ჩვენი იდენტობის განმსაზღვრელი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული საგანძურის – ტრადიციული სიმღერისა და გალობის განვითარება-პოპულარიზაციის უპირველესი ხელშემწყობი იქნება.

ფონდის უმთავრესი მიზანია საქართველოსა და უცხოეთში კონცერტების, შემოქმედებითი საღამოებისა და ფესტივალების გამართვა.

ფონდი ახალგაზრდობისთვის შეიქმნა. ვინც მონდომებით ისწავლის გალობასა და ხალხურ სიმღერას, ვინც უპრეტენზიოდ გაემგზავრება საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მოქმედ ეკლესია-მონასტრებში საგალობლად, 5 წლის მანძილზე მიიღებს ფონდის სოლიდურ სტიპენდიას.

...აღფრთოვანებას ვერ მალავს ჩვენი სახელოვანი პიანისტი და ამერიკაში აღიარებული მაესტრო **ლეონ თორაძე**: მართლაც რომ ძალიან სასიხარულოა ფონდ „ქართული გალობის“ ჩამოყალიბება. მე ვიცი, რა ხდება საზღვარგარეთის სცენებზე, როცა ქართული ხალხური ანსამბლები გამოდიან. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი ფონდი მთელ მსოფლიოს დაანახვებს, თუ როგორი უნიკალური ფოლკლორის, უნიკალური ხალხური მუსიკის პატრონები ვართ. ამ ყველაფერში შეუფასებელი იქნება ბატონ ვანო ჩხარტიშვილის როლი. ისიც გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ ბატონ ანზორ ერქომაიშვილის გარეშე ძნელი იქნებოდა ამ ფონდის შექმნა. ის ხომ თითქმის ნახევარი საუკუნეა, ქართული ხალხური მუსიკის დიდი მოამაგეა...

თვითონ ბატონი ანზორი, როგორც ყოველთვის, მორიდებით, მაგრამ ხაზგასმით ამბობს: ფონდისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ძველი და ახალი ქართული ხალხური სიმღერებისა და ტრადიციული საგალობლების მოძიება, რეგიონებში მათი აღორძინება, სამეცნიერო კვლევების ჩატარება, უცხოელი სპეციალისტების მოზიდვა, ძველი ჩანაწერების გასუფთავება და დისკების სახით გამოცემა. მსიამოვნებს ის ფაქტიც, რომ ფონდი გეგმავს ლოტბარების მომზადებას და იმათ დასაქმებაზე ზრუნვას... დიდი ყურადღება დაეთმობა სამრევლო სკოლებისა და გალობის ცენტრების შექმნას საზღვარგარეთის ქართულ ეკლესიებში. ფონდი დააფინანსებს მართლმადიდებელი სამყაროს ტრადიციული გალობის და ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალებში ქართული გუნდების მონაწილეობას და ანალოგიური ფესტივალების გამართვას საქართველოში. ფონდი ითანამშრომლებს ტრადიციული ხალხური მუსიკით დაინტერესებულ ყველა ორგანიზაციასთან და კერძო პირთან როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ...

...ფონდის დაფუძნების საზეიმო ცერემონიალზე ქართული სიმღერის გამორჩეულ და ღვაწლმოსილ ოსტატებს სიხარულის ცრემლის მომგვრელი სიურპრიზები მოუმზადეს:

89 წლის **ანდრო სიმაშვილს** (კახეთიდან), 88 წლის **პოლიკარპე ხუბულავას** (სამეგრელოდან), 66 წლის **როსტომ გოგოლაძეს** (რაჭიდან), 80 წლის **ისლამ ფილფანს** (სვანეთიდან), **ტრისტან** და **გური სიხარულიძეებს** (გურიიდან) ქართული ხალხური სიმღერის მოამაგის სპეციალური პრიზები და 2000-2000 ლარი გადაეცათ ხალხური სიმღერების აღდგენა-პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. ყველა მათგანმა ისევ ძველებური პეწით შეასრულა თითო სიმღერა...

ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის მემატიანის პრიზი და 3000 ლარი დაიმსახურა ცნობილმა მკვლევარმა და ფოლკლორისტმა **მიხეილ კილოსანიძემ.**

ლეგენდარულ ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი, ქართული სიმღერის ერთ-ერთი ბერმუხა **ჯემალ ჭკუასელი** „ღვაწლმოსილი ლოტბარის“ პრიზით და 3000 ლარით დაასაჩუქრეს.

ქედიდან ჩამობრძანებულ ანსამბლ **„ელესას“ ახალ თაობას,** აჭარული სიმღერების აღდგენა-განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის 4000 ლარი უსახსოვრეს.

ღვაწლმოსილი ლოტბარი და მომღერალი **რობერტ გოგოლაშვილი** (73 წლის ასაკში ის ახალ შესანიშნავ ანსამბლ „იმერს“ ხელმძღვანელობს) 3000 ლარით დაჯილდოვდა.

ქართული ცეკვის ჯადოქარი **ფრიდონ სულაბერიძე** ხალხური ცეკვების პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და უმაღლესი საშემსრულებლო ოსტატობისთვის **„საუკუნის მოცეკვავედ“** აღიარეს და 5000 ლარით დააჯილდოვეს.

„საუკუნის ხმის“ ტიტული და ასევე 5000 ლარი მიიღო განუმეორებელმა მომღერალმა და ლოტბარმა **თემურ ქევხიშვილმა.**

ბოლოს, თვით ამ დაუვიწყარი ღონისძიების მთავარი ორგანიზატორი და ფონდ „ქართული გალობის“ საბჭოს წევრი **ანზორ ერქომაიშვილი** ქართული ხალხური სიმღერის მოძიების, აღდგენა-განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი შეუფასებელი წვლილისთვის ვანო ჩხარტიშვილმა **„საუკუნის მოამაგის“** ტიტულითა და 5000 ლარით დააჯილდოვა...

ვიმეორებ: ამ ჯილდოების (თანხების ოდენობის) შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ამიტომაც იყო ყველასათვის საყვარელი პიროვნებების ცრემლიც და ღიმილიც ალალი და გულწრფელი.

კონცერტში მონაწილეობდნენ სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი, ანსამბლები „რუსთავი“, „დიდგორი“, „სახიობა“, „შავნაბადა“, „იმერი“, „ბასიანი“, „ელესა“, ბავშვთა გაერთიანებული გუნდი...

საპატრიარქოს გუნდმა „შენ ხარ ვენახით“ და პატრიარქის საგალობლით („კირიელეისონ“) დაიწყო, ბოლოს კი...

როცა მომღერალთა და მგალობელთა ყველა თაობამ, სცენასა და თეატრის მეორე იარუსზე ჩამწკრივებულმა ბიჭუნებმა უკვდავი „მრავალჟამიერი“ დააგუგუნეს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ **„ჩვენი სიმღერები ლურჯი ბინდებია, ეს სიმღერები მაღალ მთებს გვანან, ჩვენი სიმღერები პირამიდებია, მათ უკან საუკუნეები დგანან“ (ირაკლი აბაშიძე).**

ფონდ „ქართული გალობის“ პირველმა საქველმოქმედო კონცერტმა დევიზით – „ქართული ხალხური სიმღერა – კაცობრიობის საგანძური“ ქართველთა მარადიული სიცოცხლის ანუ მომავალი საუკუნეების ნიშანსვეტებიც წარმოაჩინა.

უნდა გვჯეროდეს, რომ ეს უფლის ნებაა. ღმერთო, შენ გადაარჩინე და გაამთლიანე საქართველო!

სპარტაკ ქოგულია.

ბადრი ვალაჭორიას ფოტო

კონცერტის ფინალი – „მრავალჟამიერი“

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რაგბი

ირლანდიელთა ჯავრი ურუგვაიზე იყარეს

თბილისის თასი. საქართველო-ურუგვაი 27:3 (17:0)

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა თბილისის თასის გათამაშების პირველ ტურში მზარდ ირლანდიასთან წაგების შემდეგ სათანადო დასკვნების გამოტანა და ფსიქოლოგიური წნეხისგან თავის დაღწევა დროულად შეძლო, ამიტომაც ურუგვაის ეროვნულ გუნდთან სათამაშოდ მოედანზე მოტივირებული გავიდა. მით უმეტეს, მასპინძლებმა იცოდნენ, რომ ამ ორთაბრძოლის შედეგი მსოფლიოს კლასიფიკაციაზე ზეგავლენას მოახდენდა. მილტონ ჰეიგის შეგირდებმა, მართალია, მწვრთნელის ყველა მითითება ზედმიწევნით ვერ შეასრულეს, განსაკუთრებით — მეორე ტაიმში, როცა მორაგბეებს დაღლა დაეტყოთ, მაგრამ მატჩი მაინც მიიყვანეს სასურველ შედეგამდე (ისე, ერთი ლელოც რომ გაეტანათ, საპრემიო ქულასაც დაიმსახურებდნენ) და გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვებაც ჩაიწერეს — 27:3 (17:0).

მატჩის შემდეგ

მილტონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ვიდეოფირზეც კარგად ჩანს, რომ ირლანდიასთან არ უნდა წაგვეგო. დღესაც მეორე ტაიმი პირველზე უარესად ვითამაშეთ, რაც ფიზმომზადების არცთუ კარგი დონის ბრალია. მოთამაშეები როცა იღლებიან, კონცენტრაციას კარგავენ და თამაში აღარ გამოსდით. ამიტომაც არის ხშირი ტექნიკური წუნი. ვფიქრობ, საერთო ფიზიკურ მომზადებაზე სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ“.

ფაბიო მანიო, ურუგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „საქართველოს ნაკრები კარგი გუნდია. პირველ ტაიმში უკეთ ითამაშა, თუმცა ამ შეხვედრას ირლანდიასთან გამართულ მატჩს მაინც ვერ შევადარებ, რადგან ამჯერად თქვენი გუნდი ბევრად სოლიდური ჩანდა“.

სამხრეთ აფრიკა-ირლანდია 19:8

სატურნირო მდგომარეობა	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ
სამხრეთ აფრიკა	2	2	0	0	+39	9
საქართველო	2	1	0	1	+19	5
ირლანდია	2	1	0	1	-6	4
ურუგვაი	2	0	0	2	-52	0

16 ივნისი

საქართველო-სამხრეთ აფრიკა, ურუგვაი-ირლანდია.

ვაჟა ნოსირელი

◎ ჭადრაკი

პირველად — რაპიდში

ბოლო დროს მსოფლიოში სულ უფრო ხშირად იმართება ტურნირები სწრაფ ჭადრაკსა (რაპიდი) და ბლიცში. დასტურად ისიც გამოდგება, რომ ფიდე და ევროპის ჭადრაკის კავშირი ყოველწლიურად მართავენ ორივე სახეობაში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებს. და აი, თბილისის ჭადრაკის სასახლემ რაპიდში მოჭადრაკე ქალთა პირველ ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლა. ორდღიანი პაექრობების შემდეგ 9 შესაძლებლიდან 7 ქულით ოქროს მედალი მერი არაბიძემ დაიმსახურა. 6,5-6,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები ინგა ჭარხალაშვილმა, ნინო ბაციაშვილმა და სოფიო გვეტაძემ გაიყვეს.

გივი გაგუა

◎ ნიჩბოსნობა

პოზნანში — „თეთრი ტბის“ გავლით

თბილისის, მცხეთის, დუშეთის, ქუთაისისა და ფოთის ნიჩბოსნებმა მოიყარეს თავი კუს ტბაზე, სადაც დედაქალაქის ღია ჩემპიონატი გაიმართა კანოესა და კაიაკში (ბაიდარა). 200 მეტრზე ორი ასაკის 70-მდე ქალ-ვაჟი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. განსაკუთრებით ბადრი ყაველაშვილმა (კაიაკი), ზაზა ნადირაძემ (კანოე) და თეონა შაბურიშვილმა (კაიაკი) იყოჩაღეს. საგულისხმოა, რომ ეს სამეული 25-27 ივნისს პოლონურ პოზნანში 20-წლამდელთა ევროპის პირველობაზე იასპარეზებს, მანამდე კი ისინი 22-23 ივნისს გლდანში „თეთრ ტბაზე“ კაიაკსა და კანოეში საქართველოს ღია ჩემპიონატში დაუპირისპირდებიან როგორც თანაგუნდელებს, ისე საასპარეზოდ მოწვეულ სომეხ და აზერბაიჯანელ ნიჩბოსნებს. გაუწყებთ თბილისის ღია პირველობის გამარჯვებულთა ვინაობას:

უფროსები

კაიაკი (ბაიდარა). ვაჟები. ერთადგილიანი. ბადრი ყაველაშვილი (თბილისი). **ორადგილიანი.** ნიკოლოზ მაღლაფერიძე, ზაურ ბერიძე (ქუთაისი). **გოგონები. ერთადგილიანი**. თეონა შაბურიშვილი (დუშეთი). **ორადგილიანი.** თეონა შაბურიშვილი, მადონა ყარსიმაშვილი (დუშეთი).

კანოე. ერთადგილიანი. ზაზა ნადირაძე (მცხეთა).

1997-2000 წლებში დაბადებულნი

კანოე. ერთადგილიანი. მურმან მალანია (ფოთი).

კაიაკი (ბაიდარა). ერთადგილიანი. ვალერი რთველიაშვილი (მცხეთა). **ორადგილიანი.** გიორგი ობგაიძე, ლაშა მჭედლიძე (მცხეთა).

გოგონები. ერთადგილიანი. რუსუდან ჯიქურაული (დუშეთი). **ორადგილიანი**. ნინო ჯიქურაული, ანა ჯიქურაული (დუშეთი).

ლექსო ცინცაძე

სურათზე: ზაზა ნადირაძე.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ კალათბურთი

სასტარტო ნაბიჯი

„მონტეპასკიმ“ იტალიის ჩემპიონატის ფინალური სერია ყოჩაღად დაიწყო. სიენელებმა „ასეა რომას“ გასვლითი შეხვედრა 85:76 მოუგეს და დედაქალაქელებს მოედნის უპირატესობა პირველივე თამაშში აართვეს.

სასიხარულოა, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ქართველი ფორვარდი სიენელთა სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და მოედანზე 18 წუთი გაატარა. აღნიშნულ დროში „ვიკამ“ 3-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი და საჯარიმო ააცილა და 2 ქულას 5 მოხსნა და 1 ჩაჭრა წაამატა. სანიკიძეს შეცდომა არ დაუშვია, 1 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 2-ჯერ დაჯარიმდნენ.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე დენიელ ჰეკეტი გახდა ორმაგი დუბლით (18 ქულა, 10 პასი), დევიდ მოსმა 20 ქულა მიითვალა, ბობი ბრაუნმა კი 17 ქულა ჩააგდო. აღსანიშნავია, რომ „მონტეპასკის“ კალათბურთელებმა 26-დან 13 სამქულიანი გამოიყენეს, რამაც თამაშის ბედი გადაწყვიტა.

დღეს გუნდები ისევ რომში ითამაშებენ, შემდეგ კი 2 შეხვედრა სიენაში შედგება. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონობისთვის 4 მატჩის მოგებაა საჭირო.

გიორგი შოთაძე

„სან ანტონიოს“ ტრიოები

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სუპერფინალი სან ანტონიოში ხუთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა და „სფურზმა“ თავისი ერთგული ქომაგი („მაიამისთან“ სერიის მესამე მატჩს 18581 მაყურებელი დაესწრო) მეტად გაახარა — ტეხასელებმა ფლორიდელებს 36-ქულიანი სხვაობით 113:77 სძლიეს და მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთეს საჩემპიონო ბეჭდების მოპოვების საქმეში.

„სან ანტონიოზე“ საუბრისას აქცენტს ტიმ დანკანის, ტონი პარკერისა და მანუ ჯინობილის სუპერტრიოზე აკეთებენ, სერიის მესამე მატჩში კი შეხვედრის გმირები ტეხასელთა სხვა ტრიო გახდა. დენი გრინმა, გარი ნილმა და კავაი ლეონარდმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს პრინციპული დაპირისპირების მოგებაში. ამასთან, გრინმა და ნილმა „სფურზს“ სუპერფინალის რეკორდი დაამყარებინეს ზუსტი სამქულიანი ტყორცნების რეალიზაციაში. გრინმა შვიდჯერ, ხოლო ნილმა ექვსჯერ გაისროლეს ზუსტად პერიმეტრს მიღმიდან. მთლიანობაში სან ანტონიოელებს 16 სამქულიანი გამოუვიდათ და წინა რეკორდი ორით გააუმჯობესეს.

კავაი ლეონარდი დაცვაში იმდენად კარგად თამაშობდა, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოთხგზის MVP ლებრონ ჯეიმსმა თავისი საწყისი 13 ტყორცნის შემდეგ მხოლოდ 2 ჩააგდო. მაიამელებმა “ლებრონდამოკიდებულება“ კიდევ ერთხელ გამოამჟღავნეს და უგენერლოდ დარჩენილ არმიას დაემსგავსნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ ფლორიდელთა მთავარმა მწვრთნელმა ერიკ სპოელსტრამ განაცხადა, საერთოდ ვერ შევამჩნიე, ჩემი გუნდი სათამაშოდ გასული რომ იყოო, ლებრონ ჯეიმსმა კი აღიარა, ყველა სათამაშო ეპიზოდში უსუსურად გამოვიყურებოდითო. სან ანტონიოელთა დამრიგებელი გრეგ პოპოვიჩი კი, დამაჯერებელი მოგებით გამოწვეული სიხარულის მიუხედავად, აცხადებდა, ურთულესი მოწინააღმდეგე გვყავს და „მაიამი“ მომდევნო მატჩებს გაცილებით უკეთ ჩაატარებსო.

„სან ანტონიოსა“ და „მაიამის“ ფინალური სერიის მეოთხე მატჩი 13 ივნისს (ჩვენი დროით 14 ივნისს გამთენიისას) კვლავ ტეხასის შტატში ჩატარდება.

სან ანტონიო — მაიამი 113:77 (24:20, 26:24, 28:19, 35:14)

სერიის ანგარიში 2:1.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფარიკაობა

მეცხრედ — სომხებთან ერთად

ქუთაისის სპორტის სასახლეში წლეულს მეცხრედ გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის — გალაქტიონ ჩიქოვანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი (მთავარი მსაჯი მერაბ ბაზაძე) ფარიკაობაში. საასპარეზოდ თავი მოიყარეს ქართველმა და სომეხმა 20-წლამდელებმა (თურქებმა ჩამოსვლა ვერ შეძლეს). განსაკუთრებით თბილისელმა მუშკეტერებმა იყოჩაღეს - სხვადასხვა სინჯის ცხრა მედალი მოიპოვეს.

ჩემპიონთა გალერეა

გოგონები. ხმალი: ანა აფრასიძე (თბილისი). **რაპირა:** ნუნუ იაგორაშვილი (თბილისი). **დაშნა:** ემა პოღოსიანი (სომხეთი).

ვაჟები. ხმალი: თემურ ბარათაშვილი (თბილისი). **რაპირა.** ლუკა ღაღანიძე (თბილისი). **დაშნა.** მიქაელ მიქაელიანი (თბილისი).

ლაშა დიდია

◎ ინტერნეტიდან

დაუღლელი ალანი ლალა ვასკესი

ამერიკის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშე პოპულარული კალათბურთელის კარმელო ენტონის მეუღლე ალანი ლალა ვასკესი მუქკანიან ლამაზმანებს შორის მთელს შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და აქტიური ქალია.

ალანი ლალა ვასკესი ამჟამად 33 წლისაა და კალათბურთელი ქმრისაგან გაჩენილ 6 წლის შვილს ზრდის, თუმცა, ამის მიუხედავად, საკუთარ საქმეშიც ერთობ წარმატებული ქალია. ლალა ამჟამად ამერიკაში ცნობილი მუსიკალური წამყვანია და მის რადიოგადაცემას ათიათასობით ადამიანი უსმენს.

გარდა ამისა, ალანი ლალა მსახიობობასა და ტელეწამყვანობასაც ითავსებს და ეს საქმეებიც ერთობ კარგად გამოსდის. როგორც ამერიკელებს მიაჩნიათ, ეს ქალი ამსხვრევს მითს იმასთან დაკავშირებით,

რომ ფერადკანიანი ქალები ამერიკაში საკუთარ შესაძლებლობებს ვერ ამჟღავნებენ...

მანუჩარ გიორგაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ თავისუფალი ბაზარი

„ანტიმონოპოლიური წიწილების“ გაჩოჩების ძოლოდინში

ახალი შრომითი და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომელზეც ბოლო მოწვევის პარლამენტი აქტიურად მუშაობს, საგადასახადო კოდექსში მთელი რიგი განხორციელებული შესწორებები, სხვა მსგავსი დატვირთვის მქონე ცვლილებების საბოლოო მიზანია ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი თავისუფალი კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან მოყოლებული, ეროვნული ეკონომიკისთვის ამ ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო და მტკივნეული საკითხის გადაწყვეტას უკლებლივ ყველა პოლიტიკური ძალის არაერთი მთავრობა ცდილობდა, თუმცა კი, ისევე, როგორც წლების წინათ, ეს დღესდღეობითაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ამ გარემოებას კი მრავალი ექსპერტი ბოლომდე ჩამოუყალიბებელი, რომ იტყვიან, „დაუღვინებელი ეკონომიკური სტრატეგიის“ არარსებობით ხსნის.

სახელმწიფო იმისთვის ხდება იძულებული, საკანონმდებლო დონეზე ჩაერიოს თავისუფალ საბაზრო ურთიერთობათა მოწესრიგებაში, რომ ბაზარზე მოქმედი ცალკეული მსხვილი კომპანიები, სახელისუფლებო სტრუქტურებში ლობისტების დახმარებით თუ სხვა გზებით, დანარჩენი, შედარებით მცირე მწარმოებლების საზიანოდ, მონოპოლისტები არ გახდნენ. ამას, თავის მხრივ, მონოპოლისტის სხვა არაკეთილსინდისიერი მოქცევაც შეიძლება მოჰყვეს, რაც მისი დომინანტი მდგომარეობის კიდევ უფრო მეტად გამაგრებას შეუწყობს ხელს. ეს კი, როგორც წესი, პროდუქციის ხარისხზე ნაკლებად ზრუნვით, საწარმოო ხარჯთან შეუფარდებლად მაღალი საბაზრო ფასის დადგენით, მრავალი სხვა ნეგატიური მომენტით გამოიხატება, რის შედეგად, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოება, ქვეყნის მოსახლეობა ერთიანად ზარალობს.

უფრო კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, ბაზრის ნებისმიერი სეგმენტის მონოპოლიზაცია, გარდა იმისა, რომ უშუალოდ ამა თუ იმ დარგში სამუშაო ადგილების, წარმოების მთლიანი მოცულობის შეკვეცას იწვევს, ის, შესაბამისად, ეროვნულ ეკონომიკასაც და, მაშასადამე, თავად სახელმწიფოსაც აზარალებს ერთი მუჭა მწარმოებლებისა და მათი მფარველების გამდიდრების სანაცვლოდ. არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ასეთ შემთხვევაში იწყება ამა თუ იმ დაბალი ხარისხისა და, შესაბამისად, იაფიანი, უხარისხო საქონლის იმპორტის ზრდა, რასაც, ბუნებრივია, ქვეყნიდან სავალუტო სახრების გადინების დონის აწევა მოჰყვება. ერთი სიტყვით, **ნებისმიერი ბაზრის მონოპოლიზაცია ანტისახელმწიფოებრივი, ანტისოციალური მოვლენაა. ამდენად, ეჭვი არ არის, რომ ეროვნული ეკონომიკის ყველა ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის თანაბარსწორი პირობების შექმნა ნებისმიერი მთავრობის, ზოგადად ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს.**

აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, რომ სახელმწიფო დროდადრო სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივითა და კანონქვემდებარე აქტების მეშვეობით თავისუფალი ბაზრის რეგულირებაში ერევა ხოლმე, რისი მამოძრავებელი იმპულსი, როგორც აღვნიშნეთ, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესთა დაცვაა.

აქვე იმასაც დავძენთ, რომ ისევე, როგორც მართებულია თქმა, რომ რეკლამა ვაჭრობის მამოძრავებელი ძალაა, **ბაზარზე თავისუფალი კონკურენცია ნებისმიერ დარგში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, ინოვაციური ძიებების და, ცხადია, მეტი ინვესტიციის დაბანდების გზით საბოლოო ანგარიშით მეტი მოგების მიღების მძლავრი სტიმულატორია.**

ის გარემოება, რომ საქართველოს შიდა ბაზრის პრაქტიკულად ყველა სეგმენტი ერთი, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, რამდენიმე მონოპოლისტის მიერ იყო გადანაწილებული, ფასები კი, ძირითადად, კარტელურ გარიგებათა პირობების თანახმად დგინდებოდა, საიდანაც გარკვეული წილი ვინრო პარტიული ინტერესების დაფინანსებას ხმარდებოდა, საზოგადოების უდიდეს ნაწილში არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამას საზოგადოებრივი გამოკითხვები, არასამთავრობო ორგანიზაციების გამოკვლევები, ასევე დამოუკიდებელ ექსპერტთა განცხადებები მოწმობს, რომლებიც საზოგადოების ცხოვრებაზე ყველაზე მტკივნეულად ამსახველ სეგმენტებს — ნავთობპროდუქტებსა და სასურსათო საქონელზე ფასებს ეხებოდა. აღნიშნული სეგმენტის არჩევა შემთხვევითი სულაც არ არის: პირველის ფასზე ყველა დანარჩენი პროდუქციის, სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების, უამრავი სხვა რამის ღირებულებაა დამოკიდებული, ხოლო, რაც შეეხება სურსათს, ჭამა მოგეხსენებათ, ადამიანს „მთლად ყოველ დღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც ხომ უნდა?“... საგანგებოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უამრავი კრიტიკული შენიშვნის თუ ავტორიტეტული რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოში შედარებით ახლადშექმნილი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან მექანიკურად შეაერთეს, ბაზრის რეგულატორის ფუნქციებისა და საამისოდ საჭირო ქმედითი საკანონმდებლო ბაზის უქონლობის პირობებში, „მკვდრად შობილი“, სრულიად უაზრო სახელმწიფო მეტხორცი აღმოჩნდა და ამჟამადაც ამავე მდგომარეობაში გვევლინება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კერძოდ კი **შიდა სასაქონლო ბაზრის ფაქტობრივად ყველა სეგმენტში შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობა, კარტელურ გარიგებათა არსებობა, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის „ორივე ფეხით კოჭლობა“, კონკურენციული პოლიტიკის მკაფიოდ ჩამოყალიბებას, მის მყარ საკანონმდებლო ბაზარზე დაფუძნებას საჭიროებს.** სწორედ ამ მიზნითაც, ზუსტად ერთი თვის წინათ, ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციული გარემოს შესაქმნელად და შემდგომ მის შესანარჩუნებლად, სათანადო კანონპროექტი, რომლის შექმნაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის სპეციალისტთა ერთობლივმა ჯგუფმა, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ინტენსიური კონსულტაციებით, საბოლოოდ ჩამოაყალიბა. აღნიშნული დოკუმენტი, კერძოდ კი შესაბამის კანონმდებლობაში შესატან ცვლილებათა პაკეტი, ჯგუფმა განსახილველად საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, ბიზნესწრეების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, ასევე რამდენიმე უცხო ქვეყნის მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტებს წარუდგინა. თუ როდის დაიწყება ამ ცვლილებათა პაკეტის საპარლამენტო და სამთავრობო განხილვის პროცესი, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა კი, ვარაუდობენ, რომ ამას შემოდგომაზე უნდა ველოდოთ.

ოთარ ტურაბელიძე

◎ გაზეთის იუბილე

დიდი მგოსნის კვალზე მავალი...

ამაღლებული განწყობა სუფევდა იმ საღამოს სამების ახალგაზრდულ ცენტრში. სიყვარულით გამთბარი ეს საღამო გაზეთ „კავკასიის“ 10 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა.

საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, რომელმაც ისაუბრა გაზეთის როლზე, მის პოპულარობაზე, შრომაზე, რომელსაც გაზეთის დამფუძნებელი იზა ჯაჭვაძე ეწევა. მაყვალა გონაშვილმა საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია გადასცა პოეტსა და ჟურნალისტს იზა ჯაჭვაძეს.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ ჰამლეტ გეგიამ იზა ჯაჭვაძე დააჯილდოვა საპატიო დიპლომით კავკასიის და საქართველოს მთიანი რეგიონების ყოფა-ცხოვრების ამსახველი პრობლემური საკითხების პუბლიკაციებისთვის.

სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა და ჟურნალისტებმა: ბალბინერ არაბულმა, მზია ხეთაგურმა, ზეზვა მედულაშვილმა, მთვარისა კერესელიძემ, ერეკლე საღლიანმა, ჯუმბერ გოგრიჭიანმა, ივანე წიკლაურმა.

ეს მართლაც დაუვიწყარი საღამო იყო.

დიანა ფრანგიშვილი

◎ ინფორმაცია

თბილისელები დასუფთავების დაგროვილი დავალიანებისგან გათავისუფლდებიან

თბილისის მცხოვრებლები 2011 წლის პირველ ივლისამდე დაგროვილი დასუფთავების გადასახადის დავალიანებისგან გათავისუფლდებიან. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „ადგილობრივი მოსაკრების შესახებ“ კანონში შედის, რომელიც ბიუროს სხდომაზე უკვე ინიცირებულია.

კანონპროექტის მიზნად შემდეგი მოტივია დასახელებული — თბილისის ტერიტორიაზე ფიზიკური და იურიდიული პირები 2011 წლის პირველ ივლისამდე რიცხული, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანებისგან გათავისუფლება.

კანონპროექტის ავტორები და ინიციატორები არიან როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე უმცირესობის წარმომადგენლები.

ინტერპრესი

◎ პროტესტი

გამაფრთხილებელი აქცია სამთაწყაროში

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობამ გუშინ გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია გამართა.

ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, სოფელ სამთაწყაროში 280 ჰა მიწის ფართობი მათ 49-წლიანი იჯარით ჰქონდათ აღებული, თუმცა წინა ხელისუფლებამ 2011 წლის დეკემბერში, აუქციონის წესით კომპანია „ოლივ გრინმა“ შეიძენა და ზეთისხილის პლანტაცია გააშენა. აქციის მონაწილეებმა, კომპანიის კუთვნილი ნაკვეთიდან დარაჯისთვის განკუთვნილი ვაგონი ტერიტორიის გარეთ გაიტანეს და ნაკვეთში საქონელი შეუშვეს.

მოსახლეობა დახმარებას ცენტრალურ ხელისუფლებას სთხოვს, კერძო კომპანიას კი ტერიტორიის დასატოვებლად ერთი კვირის ვადას აძლევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამთაწყაროელები ზეთისხილის პლანტაციის აჩეხვით იმუქრებიან.

აქციაზე კომპანიის წარმომადგენელიც მივიდა, რომელმაც სამთაწყაროელებს დავის გაგრძელება კანონიერი გზით შესთავაზა.

ინტერპრესი

◎ დღესასწაული

პატარა მოცეკვავეთა ზეიმი

ქორეოგრაფიის საერთაშორისო დღე, რომელსაც მსოფლიოში ტრადიციისამებრ 11 ივნისს ზეიმობენ, საქართველოშიც აღინიშნა.

ამ დღეს დედაქალაქში ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან ნორჩ მოცეკვავეთა მრავალი ანსამბლი ჩამოვიდა. ათასზე მეტმა ტერფსიქორას, ბერძნულ მითოლოგიაში ცეკვისა და გუნდური გალობის ქალღმერთის პატარა მსახურმა ვარდების რევოლუციის მოედანზე ასე ფართო წარმომადგენლობით პირველად მოიყარა თავი. აქედან პატარა ხელოვანებმა რუსთაველის პროსპექტით მსვლელობა ყოფილი პარლამენტის მოედნამდე მოაწყვეს. თავიანთი მშობლიური კუთხეების ტრადიციულ სამოსელში გამოწყობილმა ნორჩმა მოცეკვავეებმა, მათ აღმზრდელებმა და ნათესავ-ახლობლებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ავღანეთში რამდენიმე დღის წინათ გმირულად დაღუპულ ქართველ მეომართა ხსოვნას.

ამის შემდეგ კი პატარები, რომელთა ხილვით უამრავი თბილისელი თუ დედაქალაქის სტუმარი მოიხიბლა, მთაწმინდის პარკში ტრამვაით ავიდნენ, სადაც საზეიმო კონცერტი გამართეს.

ლალი ხუნდაძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

მანანა, გიორგი საღარაძეები, შალვა, ბიძინა, ლევან მგალობლიშვილები, ზამირ მაჩიტიძე, დაზი შეროზია, ზურაბ გოგოხია ოჯახებით თანაუგრძნობენ თინიკო და ჯემალ მეებუკეებს დედისა და სიდედრის

ზინაიდა ძიძიგური-სანოძის

გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 სტომატოლოგიური კლინიკის კოლექტივი გულწრფელად თანაუგრძნობს ლუარა და ზურაბ ვადაჭკორიებს ოჯახებით შესანიშნავი პიროვნების

ოთარ ვადაჭკორიას

გარდაცვალების გამო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ დღესასწაული

ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

13 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებას.

...იესო ქრისტეს აღდგომიდან მეორმოცე დღეს შეიკრიბნენ მოწაფეები, რასაც დიდი ხანი ელოდნენ! – და აი, დადგა ეს დღეც! მათ გამოეცხადათ უფალი. მისი ბოლო საუბარი მახარებლებს დაწვრილებით არ აქვთ გადმოცემული, მაგრამ მახარებელი ლუკა მოგვითხრობს, რას შეეხებოდა იგი; უფალმა კიდევ ერთხელ ბრძანა, რომ აუცილებელი იყო ჯვარზე ვნება მესიისა, რადგან „ასე იყო დაწერილი“, რომ იესო მესამე დღეს მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო.

უფალი ასე ასწავლიდა აღდგომის მხილველთ: „...უქადაგეთ მათ უფლის სინანული და მიტევება ცოდვათა“. მაგრამ, სანამ საქადაგებლად წავიდოდნენ, მოციქულებს უნდა მიეღოთ მადლმოსილი ნიჭი სულიწმინდისა.

...გამოიყვანა უფალმა მოწაფეები იერუსალიმიდან და ბეთანიისკენ გაემართა. მოწაფეებმა ჰკითხეს მას: „უფალო, უკეთუ ამათ ჟამთა კვალად მოაგო სასუფეველი ისრაელსა?“ უფალმა მდაბლად მოისმინა მათი შეკითხვა და სიყვარულით უპასუხა: „არა, თქვენი არს ცნობაი ჟამთა და წელთა, რომელნი იგი მამამან დასხნა თვისითა ხელმწიფებითა“.

ამ საუბარში მათ მიაღწიეს ელეონის მთას. იესომ აკურთხა მოწაფენი და მათ წინაშე ზეცად ამაღლდა. გაოგნებულ მოწაფეებს უფლის ორი ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „...ესე იესო, რომელი ამაღლდა თქვენგან ზედაც, ეგრეთვე მოვიდეს ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“.

ასეთი სიტყვების მოსმენის შემდეგ მოციქულებმა თაყვანი სცეს ზეცად ამაღლებულ უფალს და „სიხარულითა დიდითა“ დაბრუნდნენ იერუსალიმში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „...უფალმა იესო ქრისტემ ინებოს ჩვენი ფერისცვალება და ამაღლება“.

გიული ლიპარტია

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყურადღებიანი ვართ ჩვენ

ზურაბ ადეიშვილი ვანო მერაბიშვილს უპირისპირდება

ახალაიების გარდა, მერაბიშვილს შესაძლოა, იუსტიციის ყოფილი მინისტრიც დაუპირისპირდეს. ზურაბ ადეიშვილი საქართველოდან არჩევნების მეორე დღესვე გაიქცა. თავიდან ახალაიები მას გამწარებით დაეძებდნენ, ბოლო დროს კი მასზე ხმასაც აღარ იღებენ. გაჩნდა ეჭვი, რომ მათ შორის ფარული გარიგება შედგა. ეს ეჭვები გუშინ სამშობლოდან გაქცეულის მიერ გავრცელებულმა განცხადებამაც გააძლიერა. ზურაბ ადეიშვილის სახელით, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ცოტა ხნის წინ განცხადება გავრცელდა, სადაც ადეიშვილი დუმილს არღვევს და აცხადებს, რომ ციხეების სკანდალში დამნაშავე ვანო მერაბიშვილია, იგი მეთაურობდა იმ საშინელებებს, რაც ხდებოდა ციხეებში.

„ახალი თაობა“

გლეხები შიშით საძოვნელს ვეღარ ინარჩუნებენ

საძოვრები ქართული სოფლებისთვის მუდმივ პრობლემად იქცა. ბოლო თვეების განმავლობაში საძოვრების დაბრუნების მოთხოვნით გლეხებმა პროტესტი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში გამოხატეს, თუმცა, რეალური შედეგი მას დღემდე არ მოჰყოლია. ხელისუფლება საძოვრების დაბრუნების საშუალებებს ჯერ კიდევ ეძებს. არ არის გამორიცხული, მოხდეს გაყიდული მიწების გამოსყიდვა.

„რეზონანსი“

„ეს არის ძალიან სახიფათო თემა“

– ამბობს ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში ვალერი გელბახიანი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადების გამო.

„როდესაც სახელმწიფო საზღვარი დარღვეულია, ტერიტორიების მიტაცებას აქვს ადგილი, სადემარკაციო ხაზები დარღვეულია, ცხადია, ეს არის ომის საბაბი. ჩვენ მზად არ ვართ კონფლიქტისთვის და ომისთვის, მაგრამ ჩვენ არ უნდა წავიდეთ და არ უნდა ვაჩუქოთ ტერიტორიები. არ მგონია, რომ ჟენევის ფორმატი კარასინისა და აბაშიძის დონეზე იყო საკმარისი... არ მესმის, ტერიტორიებს ვკარგავთ და ხელისუფლება რეაგირებას არ აკეთებს... უცნაური დამთხვევაა დროში პუტინის განცხადება, რომ რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობას განავითარებს. ამ დროს ანექსიას ახორციელებს, ეკონომიკურად კი თანამშრომლობას გვთავაზობს. რა ხდება?

„ალია“

„რუსეთი მართლმადიდებელი სახელმწიფო არასდროს ყოფილა“

– აცხადებს ზემო ფონიჭალის ყოველთა წმიდათას სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი იოანე წკეპლაძე: – ბევრი წმინდანი ჰყავთ, რუს ხალხშიც რწმენა ყოველთვის იყო, მაგრამ მის მმართველობაში – არა. ეს კი მეტად სამწუხარო ფაქტია, რომლის შედეგებსაც დღემდე იმკიან რუსი ხალხი და მისი მოკავშირეებიც. რუსეთს საქართველოს მიმართ ყოველთვის დამპყრობლური მიზნები ამოძრავებდა. ამ ქვეყნის პოლიტიკა ჩვენს მიმართ არასოდეს ყოფილა ჰუმანური და მართლმადიდებლური, ის არასოდეს გვექცეოდა, როგორც ერთმორწმუნე, კეთილი მეზობელი.

„ყველა სიახლე“

◎ ფრაზები

სხვათაგან თქმული,

ანუ მიუსაფარი აზრების სტრიპტიზი...

● ლიტერატურულ გმირს ვერ გაასამართლებ, აზრი არა აქვს, სამაგიეროდ, ავტორი დაიჭირე, ვინ გიშლის.

● სხვისი აფრენა საკუთარი დაცემის თანაბარმნიშვნელოვანია.

● კაცს ჭკუით მხოლოდ ნუდისტურ (შიშველთა) პლაჟზე ცნობენ.

● კერძის სიკარგე და სიცუდე მომზადებაზე ჰკიდია.

● ზღვასა და გუბეს საერთო წინაპრები ჰყვანან, მაგრამ მოგონებები აქვთ სხვადასხვა.

● გუგული ბულბულივით ვერ მღერის, მაგრამ უფრო ყურადღებით უსმენენ.



● სტილისტი პარიკმახერია, რომელიც კარგ ლიტერატურულ ენას ფლობს.

● ის ქვეყნები, რომლებსაც მაინცდამაინც კოლოსალური პოტენციალი არა აქვთ, იძულებულნი არიან, რომ უკვე დღესვე კარგად იცხოვრონ.



● პეპელას, რომელიც ერთი დღე ცოცხლობს, ხვალის პროგნოზი სულაც არ ანაღვლებს.

● თანამედროვე ხელოვნება იმდენად მსხვერპლს არ ითხოვს, რამდენადაც შეწირულობას.

● ყვითელ პრესას სირცხვილისგან გაწითლება არ ახასიათებს.

● ბევრი რამ არის, რისი ცუდად კეთებაც ჯერ კიდევ არ ვიცით.

● წაქცეულს არ ეხუმრებიან.

● სიცილი სიცოცხლეს ახანგრძლივებს და ახლის ჩასახვას უწყობს ხელს.

● თუ ლაინერი თევზით დატვირთული მოდის, მაშასადამე, ის სეინერია.

შეკრიბა და გაასგრიპგიმა
გურამ წიკლაურმა

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– ძვირფასო გძინავს? – ეკითხება ქმარი ცოლს.

– არა.

– კარგია, მაშინ ჩემკენ გადმობრუნდი.

– არ მინდა, შენ ხახვი გაქვს ნაჭამი.

– შენ კიდევ – ბარდა! გადმობრუნდიმეთქი!

* * *

ინტელიგენტური ოჯახის ქალიშვილი მეორე ქალაქის ინსტიტუტში ჩაირიცხა.

ერთი თვის შემდეგ დედამისი ურეკავს:

– როგორა ხარ, შვილო? ამბობენ, რომ თქვენთან სტუდენტები სვამენ, ეწევიან, ნარკოტიკებს იყენებენ, ერთმანეთში უწესრიგო სექსუალური ურთიერთობა აქვთ, რელიგიურ სექტებში შედიან.

– რელიგიურ სექტებში? – გაკვირვებული კითხულობს ქალიშვილი.

* * *

ბრონძიალური ასთმით დაავადებული კაცი ექიმთან მიდის. კარს ექიმის ახალგაზრდა ლამაზი ცოლი უღებს.

– ექიმი სახლშია? – მსტვინავი ასთმატიკური ჩურჩულით კითხულობს ავადმყოფი.

– არა, – შეთქმულივით თვალის ჩაპაჭუნებით ჩურჩულით უპასუხებს ექიმის ცოლი. – სწრაფად შემოდით.

* * *

ადრე ასე იყო. მოიპარე, დალიე – ციხეში, მოიპარე, დალიე – ციხეში...

ახლა ორი ვარიანტია:

1. მოიპარე, დალიე, მოიპარე, დალიე, მოიპარე, დალიე – გალოთდი.

2. მოიპარე, მოიპარე, მოიპარე – გადეპუტატდი.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com